საბუღალტრო აღრიცხვა განეკუთვნება იმ ფუნდამენტურ ეკონომიკურ მეცნიერებათა რიგს, რომლის განვითარებაზე და სრულყოფაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთელი ეროვნული მეურნეობის წარმატებული ფუნქციონირება. იგი ინფორმაციის შეგროვების, განზოგადების და შენახვის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია, რომელიც სხვადასხვა საზღადაობრივ ეკონომიკურ სისტემაში სხვადასხვა მიზანს ემსახურება. საბოლოო ჯამში, ამა თუ იმ ქვეყნის აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემების ფორმირება და განვითარება დიდად არის დამოკიდებული მარეგულირებელი ორგანოს წარმატებით ფუნქციონირებაზე.

როლანდ ბრეზვაძე

ქუთაისის უნივერსიტეტის დოქტორანტი

## საქართველოს სადაზღვევო ბაზრის მიმოხილვა (2012 წ.)

საქართველოს სადაზღვევო კომპანია

საქართველოში კერძო სადაზღვევო ინდუსტრიის განვითარება იწყება XX საუკუნის ბოლო ათწლეულში.

საბჭოთა პერიოდში დაზღვევაზე დაწესებული იყო სახელმწიფო მონოპოლია და დაზღვევას საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებდა საკავშირო სახელმწიფო დაზღვევის საქართველოს ფილიალი.

პირველი არასახელმწიფო სადაზღვევო კომპანია – „აღდაგი“ საქართველოში დაარსდა 1990 წელს.

საქართველოში სადაზღვევო ურთიერთობების განვითარების თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ სადაზღვევო ურთიერთობების მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზა არ არსებობდა 1997 წლამდე. ეს პროცესი რეგულირდებოდა ერთჯერადი კანონქვემდებარე აქტებით.

1997 წელს, რომელსაც შეიძლება ეწოდოს “რეფორმის წელი”, მიღებულ იქნა ძირითადი საკანონმდებლო აქტები, საქართველოს “კანონი დაზღვევის შესახებ”, რითაც საფუძველი ჩაეყარა სადაზღვევო ურთიერთობების რეგულირების სახელმწიფოებრივ სისტემას. ჩამოყალიბდა დაზღვევის განვითარების სტრატეგია და შეიქმნა სადაზღვევო ურთიერთობების მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანო — “დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური”, რომელიც ასრულებს შემდეგ ფუნქციებს: დაზღვევის შესახებ საკანონმდებლო აქტებისა და ნორმატივების შემუშავება, სადაზღვევო კომპანიების ლიცენზირების წესების შემუშავება, რეკომენდაციებისა და მითითებების მიცემა სადაზღვევო საქმიანობის წარმოებაში, დაზღვევის სახეობების მიხედვით რეზერვების შექმნისა და ინვესტირების წესების შემუშავება, სადაზღვევო ორგანიზაციების მუშაობის და მათ მიერ წარდგენილი ანგარიშების გაკონტროლება. დღესდღეობით, ეს სამსახური შედის ეროვნული ბანკის სტრუქტურაში და ახორციელებს სადაზღვევო ზედამხედველობას.

1997 წლიდან დაიწყო მნიშვნელოვანი სადაზღვევო რეფორმის განხორციელება, რომლის ძირითადი ამოცანა იყო:

ა) ქვეყანაში მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ალტერნატიული და ქმედითი მექანიზმების ჩამოყალიბება;

ბ) სადაზღვევო ბიზნესისა და სადაზღვევო ურთიერთობების მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმატიული ბაზის ჩამოყალიბება;

გ) სახელმწიფოს მხრიდან სადაზღვევო კომპანიების წარმატებული ფუნქციონირებისა და განვითარების მხარდაჭერა;

სადაზღვევო ურთიერთობების რეგულირებას მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო საქართველოს სამოქალაქო, საპაერო, საზღვაო და ასევე საბაჟო კოდექსებში.

განვითარების პირველ ეტაპზე და სადაზღვევო კულტურის ჩამოყალიბების მიზნით, პრიორიტეტად გამოიკვეთა ვალდებულების პრინციპის შემოღება დაზღვევის რამდენიმე სახეობაში.

1997 წლიდან მოქმედებს კანონი:—“ავტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა” (2004 წლიდან ვრცელდება მხოლოდ სატვირთო და კომერციული დანიშნულებით გამოყენებად ტრანსპორტზე).

1997 წლიდან მოქმედებს “მოქალაქეთა სამედიცინო დაზღვევის შესახებ”.

1998 წლის 30 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა კანონი “არასახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფისა და დაზღვევის შესახებ”.

1999 წლიდან 2004 წლამდე მოქმედებდა “კანონი სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევის შესახებ”,

1999 წლიდან მოქმედებს “პარლამენტის წევრის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევა”, “საპენსიო უზრუნველყოფა”; “უცხოეთში გამსვლელ საქართველოს მოქალაქეთა უბედური შემთხვევისაგან და ავადმყოფობისაგან დაზღვევა”; “საშიშ საწარმოთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის (და პროფესიული პასუხისმგებლობის) დაზღვევა”; საავიაციო, სარკინიგზო, საზღვაო, სამდინარო და საავტომობილო ტრანსპორტის მგზავრთა დაზღვევა.

რეფორმის შედეგად ჩამოყალიბდა დაზღვევის სფეროს მარეგულირებელი, საერთაშორისო სტანდარტების დონის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ბაზა, რომელიც ყოველწლიურად იხვეწება და ვითარდება.

2007 წლიდან ამოქმედდა “სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის პროგრამები” უკიდურესად გაჭირვებული მოქალაქეებისათვის.

ამ პროგრამაში სხვა კატეგორიის მოქალაქეებიც მოხვდნენ - მასწავლებლები, სათემო ორგანიზაციების წევრები, ორგანიზებული ჩასახლების ადგილებში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირები, ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლურე რაიონებში მცხოვრებნი, მსახიობები, მხატვრები, რუსთაველის პრემიის ლაურეატები.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2010–2011 წლიდან სადაზღვევო კომპანიები ჩაერთვნენ საქართველოს ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროცესში. სადაზღვევო კომპანიებმა ააშენეს და აღჭურვეს თანამდეროვე ტექნიკით ახალი სამედიცინო ცენტრები სხვადასხვა რეგიონებში.

მაგ. სადაზღვევო კომპანია “აღდაგი ბისიაიმ”, როგორც ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ მოიპოვა უფლება იმერეთის რეგიონში (ქუთაისში, წყალტუბოს, ხონის, ტყიბულის, თერჯოლის და ხობის რაიონში ააშენოს თითო კლინიკა).

2013 წლიდან კი იგეგმება საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო დაზღვევა სახელმწიფო პროგრამით.

ამ რეფორმების შედეგად იზრდება სადაზღვევო კომპანიების როლი საზოგადოებრივ ჯანდაცვაში, გაიზარდა მოსახლეობის ნდობა და სადაზღვევო კულტურა. გაიზარდა ქართული კომპანიების გამოცდილება და ფინანსური შესაძლებლობები. ყოველივე ეს კი განაპირობებს

სადაზღვევო ბაზრის განვითარებას.

1997 წლიდან დღემდე საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კომპანიების რაოდენობა შემცირდა 40–დან 13–მდე, რაც გამოწვეული იყო მათ მიმართ გადახდისუნარიანობის მოთხოვნების ამაღლებით. ძირითადად სადაზღვევო კომპანიები ერთიანდებოდნენ ან ხდებოდა შერწყმა, გაკოტრების თავიდან აცილების მიზნით. 2011-2012 წლებში დაფიქსირდა მხოლოდ რამდენიმე გაკოტრების შემთხვევა (შპს სადაზღვევო კომპანია „მობიუსი“ და შპს სადაზღვევო კომპანია „ვესტი“).

დღესდღეობით საქართველოში მოქმედი კომპანიებია:

- 1 სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი ბისიაი“. დაარსდა 1990 წელს (შეიერთა სადაზღვევო კომპანია „იმედი ლ“ 2012 წლის მაისში);
- 2 სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი“ (დაარსდა 2001წ.);
- 3 შპს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია „ირაო“ (დაარსდა 2004 წ.);
- 4 შპს „პსპ სამედიცინო დაზღვევა“ (2007წ. დეკემბერი);
- 5 შპს სადაზღვევო კომპანია „აი სი ჯგუფი“ (2005 წ. ნოემბერი);
- 6 შპს სადაზღვევო კომპანია „უნისონი“ (2011წ. იანვარი);
- 7 შპს „სადაზღვევო კომპანია ალფა“ (2009წ. ივნისი);
- 8 სამედიცინო დაზღვევის ჯგუფი სს „არქიმედეს გლობალ ჯორჯია“ (2007წ. დეკემბერი)
- 9 შპს დაზღვევის კომპანია „ქართუ“ (1998წ. აგვისტო);
- 10 შპს სადაზღვევო კომპანია „ტაო“ (2007წ. აგვისტო);
- 11 შპს სადაზღვევო კომპანია „არდი ჯგუფი“ (2010წ. მარტი);
- 12 სს „სტანდარტ დაზღვევა საქართველო“ (2007წ. ოქტომბერი);
- 13 შპს სადაზღვევო კომპანია ჩარტის ევროპა ს.ა. საქართველოს ფილიალი (2005წ. აპრილი).

სადაზღვევო ბაზარზე ასევე ოპერირებენ სადაზღვევო შუამავლები (ბროკერები):

- 1 შპს „მაი ჯორჯია“;
- 2 შპს „სადაზღვევო ბროკერი პრიმა“;
- 3 შპს „ეი ჯი ვი ჩეს რეპაბლიკ“;
- 4 შპს „ფაინენშელ ბროკერს ჯორჯია“;
- 5 შპს „რეზოლუშნ ინშუარანს ბროუქერს საქართველო“;
- 6 შპს „ბლექ სი ბროკერს“;
- 7 შპს „ჩექვეი“;
- 8 შპს „MMA Georgia“;
- 9 შპს „Best Brokerage“;
- 10 შპს „გრას საგუა ჯორჯია“;
- 11 შპს „Sit Alliance“;
- 12 შპს „inno group“;
- 13 შპს „MEDMARINE“.
- 14 შპს „ოპუსი“.

დღეს საქართველოს სადაზღვევო კომპანიები მომხმარებელს სთავაზობენ მომსახურებას დაზღვევის თითქმის ყველა სახეობაში, ევროპის ქვეყნების სადაზღვევო სტანდარტების შესაბამისად, რაც შესაძლებელს ხდის ქვეყანაში დაზღვეული იქნას ყველა არსებული პოტენციური რისკი.

აღსანიშნავია, რომ საზღვარგარეთის ქვეყნებთან თანამშრომლობით, მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს მზღვეველთა პროფესიული დონე, რაც აისახა საზოგადოებისადმი შეთავაზებული სადაზღვევო პროდუქტების მრავალფეროვნებაზე და მათი მომსახურების ხარისხზე, ეფექტურ გადაზღვევასა და დაბალანსებული სადაზღვევო პორტფელის არსებობაში.

დღეისათვის საქართველოს სადაზღვევო კომპანიები ახორციელებენ დაზღვევის თითქმის ყველა სახეობას, მათ შორისაა:

1. სამედიცინო დაზღვევა;
2. სიცოცხლის დაზღვევა;
3. კერძო საპენსიო დაზღვევა;
4. უბედური შემთხვევებისაგან და ავადმყოფობისაგან დაზღვევა;
5. სამოგზაურო დაზღვევა;
6. სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა, სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა;
7. საჰაერო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა (კორპუსის დაზღვევა), საჰაერო სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის დაზღვევა;
8. მცურავი სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა (კორპუსის დაზღვევა) და მათ გამოყენებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის დაზღვევა;
9. ფინანსური რისკების დაზღვევა (ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა, დამდგარი დაზღვეული რისკის შედეგად დაკარგული შემოსავლების დაზღვევა);
10. ქონების (შენობა ნაგებობების, მანქანა-დანადგარების, მოწყობილობების, ნედლეულის, მასალების, სასაწყობე მარაგების) დაზღვევა;
11. სამოქალაქო და სხვადასხვა პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა;
12. ტვირთების დაზღვევა;
13. იურიდიული ხარჯების დაზღვევა.

მნიშვნელოვანი სიახლეები იწვევს ასევე არსებული პროდუქტების განვითარებისათვის.

ბოლო ათწლეულში შესამჩნევია საქართველოს სადაზღვევო ბაზრის მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდა და საფინანსო მაჩვენებლების გაუმჯობესების ტენდენცია, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს სადაზღვევო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის. ჩვენი სადაზღვევო კომპანიები მაღალი რისკის დაზღვევისათვის მზად არიან, რადგან მათი გადახდისუნარიანობა აკმაყოფილებს შესაბამის ნორმებს ანუ მათი სადაზღვევო პორტფელები დაბალანსებულია, ხოლო მეორე მხრივ, მათ შეუძლიათ აღნიშნული რისკები უზრუნველყონ მაღალი დონის საერთაშორისო გადაზღვევით.

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ, არსებული საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის სრულყოფის მიზნით, მიღებულ იქნა გადახდისუნარიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტები სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევის სფეროში.

სრულფასოვანი სადაზღვევო საქმიანობის ჩამოყალიბებისა და სადაზღვევო კომპანიების გადახდისუნარიანობის მაღალი დონის უზრუნველსაყოფად დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურმა მნიშვნელოვნად გაზარდა სადაზღვევო კომპანიებისათვის შევსებული საწესდებო კაპიტალისადმი მოთხოვნები, რომელიც 1997 წლიდან პერიოდულად იზრდებოდა (30 000 - 60 000 ლარიდან). არსებული მდგომარეობით საწესდებო კაპიტალისადმი მოთხოვნა ასეთია:

- სიცოცხლის დაზღვევა – 1 500 000 ლარი;
- კერძო საპენსიო დაზღვევა – 1 500 000 ლარი;
- დაზღვევა (არა სიცოცხლის) – 1 000 000 ლარი;
- გადამზღვევი კომპანიებისათვის 1 500 000 ლარი.

კაპიტალის 80%-ს უნდა წარმოადგენდეს ფულადი სახსრები, რომლებიც განთავსებული იქნება საბანკო დაწესებულებაში.

აღნიშნულ გადაწყვეტილებას უდავოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან სოლიდური საწესდებო კაპიტალის მქონე სადაზღვევო კომპანიებს უკვე შესაძლებლობა ექნებათ დაუბრკოლებლად შეასრულონ აღებული სადაზღვევო ვალდებულებები და მოახდინონ სადაზღვევო ანაზღაურების დროული გაცემა, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სადაზღვევო სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის გაზრდას და დაზღვევა სრულფასოვნად შეასრულებს მოსახლეობის ალტერნატიული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების რეგულატორის ფუნქციას.

საქართველოს სადაზღვევო ინდუსტრიის დასრულებული სურათის შესაქმნელად წარმოდგინოთ ციფრობრივი მაჩვენებლები.

შედარებისთვის მოვიყვან 2012 წლის და ბოლო წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს.

ეროვნული ბანკის მონიტორინგის შედეგების თანახმად, 2012 წლის პირველ ნახევარში საქართველოს სადაზღვევო სექტორმა 233 913 473 ლარის პრემია მოიზიდა და 118 215 953 ლარის ზარალი აანაზღაურა.

ანგარიში აჩვენებს, რომ პირდაპირი დაზღვევისა და გადახდვევის სახით მოზიდული პრემია, 115 697 520 ლარით, ანუ 1.97-ჯერ მეტია, სადაზღვევო კომპანიების მიერ ანაზღაურებულ ზარალთან შედარებით.

2012 წლის პირველ ნახევარში საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე 13 კომპანია ოპერირებს.

პირდაპირი დაზღვევის სახით, მათ მიერ მოზიდულმა პრემიამ 233 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა. ეს გასული წლის ანალოგიური პერიოდის იმავე მაჩვენებელზე 45 მილიონი ლარით მეტია.

პირდაპირი დაზღვევით მოზიდული პრემიის ყველაზე დიდი წილი – 153 249 336 ლარი, ანუ 65.52% – სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევაზე მოდის, ხოლო ყველაზე ნაკლები – 139490

ლარი, ანუ 0.06% – მცურავი სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევაზე მოდის.


ეს მაჩვენებლები 2008 წლის პირველ ნახევართან შედარებით, პირდაპირი დაზღვევით მოზიდული პრემიის ყველაზე დიდი წილი – 78 407 872 ლარი, ანუ 73.64% – სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევაზე მოდის, ხოლო ყველაზე ნაკლები – 34587 ლარი, ანუ 0.09% – სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევაზე მოდის. საინტერესოა, რომ 2008 წელს საქართველოს სადაზღვევო კომპანიებში, „მცურავი სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევაზე“ საერთოდ არ იყო მოთხოვნა.

სადაზღვევო კომპანიების მიერ 2012 წლის პირველ ნახევარში გადაზღვევის სახით 11 991 686 ლარის პრემიაა მოზიდული, რაც 2008 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 8 512 695 ლარით მეტია.

სადაზღვევო კომპანიების მიერ 2012 წლის პირველ ნახევარში გადაზღვევით მოზიდული პრემიის ყველაზე დიდი წილი – 10 941 522 ლარი, ანუ 91,24% – ქონების დაზღვევაზე მოდის, ხოლო 2008 წელს კი ყველაზე დიდი წილი – 77,3% სამედიცინო დაზღვევაზე მოდიოდა. ხოლო ყველაზე ნაკლები – 376 და 629 ლარი, ანუ 0,0031% – უბედური შემთხვევის და სამოგზაურო დაზღვევაზე მოდის. 2008 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ყველაზე ნაკლები წილი – 0,03% (971 ლარი) სიცოცხლის დაზღვევაზე მოდიოდა.

სადაზღვევო კომპანიებმა 2012 წლის პირველ ნახევარში ჯამში 118,215,953 მილიონი ლარის ოდენობის ზარალი აანაზღაურეს (იხ. ნახ. 1). ყველაზე მეტი ზარალი – 21 940 812 ლარი – სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგმა“ აანაზღაურა. ცოტათი ჩამორჩება მას სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია “იმედი ლ ინტერნაციონალ” (21 710 179 ლარი) და სს “სადაზღვევო კომპანია ალდაგი ბისიი” (18 759 195 ლარი).

ნახ. 1



აქედან, ყველაზე მეტი – 106 096 074 ლარი ანუ 89.74% – სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევაზე, ხოლო ყველაზე ნაკლები – 24 894 ლარი ანუ 0.02% – სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევაზე მოდის.


2012 წლის პირველ ნახევარში, ანაზღაურებული ზარალების მიხედვით, სს “სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი” 21 940 812 ლარით, ანუ 18%-ით პირველ ადგილს იკავებს. აქედან, ყველაზე მეტი – 18 335 845 ლარი ანუ 83.56% – სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევაზე, ხოლო ყველაზე ნაკლები – 13 990 ლარი ანუ 0.063% – ტვირთების დაზღვევაზე მოდის.

2012 წლის პირველ ნახევარში, ანაზღაურებული ზარალების მიხედვით, მეორე ადგილზეა სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია “იმედი ლ ინტერნაციონალ” – 21 710 179 ლარით. აქედან ყველაზე მეტი – 20 398 456 ლარი, ანუ 93.95% – სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევაზე, ხოლო ყველაზე ნაკლები – 1 000 ლარი ანუ 0.0046% – უბედური შემთხვევის დაზღვევაზე და 1 414 ლარი ანუ 0,0065 სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევაზე მოდის.

მესამე პოზიციაზეა სს “სადაზღვევო კომპანია ალდაგი ბისიაი” – 18 759 195 ლარით. აქედან, ყველაზე მეტი – 14 547 886 ლარი ანუ 78% – სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევაზეა ანაზღაურებული. ყველაზე ნაკლები – 7151 47 ლარი ანუ 0.038% – სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევაზე მოდის.

მეოთხე ადგილს იკავებს სადაზღვევო კომპანია „აღფა“ – 17,879,687 ლარით, ანუ 15.1%-ით. აქედან, ყველაზე მეტი – 17 773 123 ლარი ანუ 99.4% – სამედიცინო, ჯანმრთელობის დაზღვევაზე, ხოლო ყველაზე ნაკლები – 1 300 ლარი ანუ 0.0072% – უბედური შემთხვევის დაზღვევაზე გაიხარჯა.

ნახ. 2



2012 წლის 6 თვეში სადაზღვევო კომპანიებმა 18 სახეობის პოლისზე 2 070 300 ხელშეკრულება გააფორმეს, რაც 2011 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, 6 142 პოლისით (0.3%-ით) ნაკლებია (იხ. ნახ. 2).

2012 წლის პირველ ნახევარში ყველაზე მეტი (1 374 491) პოლისი – 66% – სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევაზე, ხოლო ყველაზე ნაკლები – 1 პოლისი – მცურავ სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენების პასუხისმგებლობის დაზღვევაზე გაფორმდა.

როგორც ანალიზმა გვიჩვენა, ყველაზე მომგებიანი სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევაა. ყველაზე ნაკლებად მომგებიანი

კი – მცურავ სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის დაზღვევა.

საქართველოს სადაზღვევო ბაზრის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების ანალიზი ადას-

ტურებს საქართველოში მიმდინარე სადაზღვევო რეფორმების სწორ მიმართულებას, რომელიც დღითიდღე უახლოვდება საერთაშორისო მასშტაბით აპრობირებულ სადაზღვევო საქმიანობის ნორმებსა და სტანდარტებს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სადაზღვევო ინდუსტრია, მისი მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა და მთლიანად სადაზღვევო სისტემა მუდმივ სრულყოფასა და განვითარების პროცესშია. გადალახულია პირველი ეტაპი, კერძო სადაზღვევო სისტემამ უკვე ჩამოყალიბებული სახე მიიღო, დამყარდა საერთაშორისო ურთიერთობები, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სადაზღვევო ურთიერთობები ეროვნული მეურნეობის ამა თუ იმ დარგში, მოხდა მოსახლეობაში მისი პოპულარიზაციის დონის ამაღლება, რაზეც მეტყველებს ზემოთ მოყვანილი ციფრობრივი მაჩვენებელი. დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ფუნქციების განხორციელების შედეგად დღეისათვის სადაზღვევო ბაზარზე მომუშავე კომპანიების გადახდისუნარიანობა და დაზღვეულთა ინტერესები დაცულია.

ამდენად, დაზღვევის სფეროში შეინიშნება სადაზღვევო ბაზრის ათვისების, როგორც ხარისხობრივი ასევე რაოდენობრივი მახასიათებლების ზრდის დადებითი ტენდენცია, მითუმეტეს, რომ წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა სადაზღვევო კომპანიების რაოდენობა საქართველოს ტერიტორიაზე.

ხათუნა შალამაგერიძე

ეკონომიკის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის და აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

სავალუტო კურსის რეფორმის ზოგიერთი აქტუალური საკითხი

სავალუტო კურსის რეფორმის ზოგიერთი აქტუალური საკითხი

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაზე არსებითი გავლენა მოახდინა მე-20 საუკუნის ბოლოს სოციალისტური სისტემის ნგრევამ და მეტი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფორმირებამ. ამ ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკის გამარჯვებას ალტერნატივა არ გააჩნდა. ამ ტიპის ქვეყნებში უმნიშვნელოვანესია ყოველგვარი რეფორმა შემუშავებულ იქნეს თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებასა და პრაქტიკაში მიმდინარე ფუძემდებლური მიმართულებებით განხორციელებული გამოკვლევების ბაზაზე.

გლობალიზაციის პირობებში სულ უფრო გადამწყვეტი როლი ენიჭება სავალუტო კურსის ფორმირებას, რომლის შედეგებიც უდიდეს გავლენას ახდენს როგორც ცალკეული ქვეყნის, ასევე ქვეყნის შიგნით არსებული თითოეული ეკონომიკური სუბიექტის წარმატებაზე.

სავალუტო კურსის ფორმირებას დაახლოებით ორასწლიანი ისტორია აქვს. მოკლედ მიმოვიხილოთ მისი ფორმირების ძირითადი პრინციპები.

საგარეო ეკონომიკური რეფორმა მოიცავს რეალური სავალუტო კურსისა და ეროვნული ვალუტის კონვერტირებადობის შემოღებას, სატარიფო ბარიერების გაუქმებას ან შეცვლას, ტარიფების შემცირებას და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მარეგულირებელი კანონების ლიბერალიზაციას. ზემოთ აღნიშნულ სფეროში რეფორმის წარმატებები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის პოლიტიკაზე, კერძოდ, რამდენად უხსნის იგი კარებს თავისი ქვეყნის ეკონომიკას საერთაშორისო ვაჭრობისა და კაპიტალის საერთაშორისო ბაზარზე მონაწილეობისათვის.

საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობა ხელს უწყობს რაციონალური ფასების დადგენას, ბაზრის გაფართოებას და ზრდის ფორმებისა და ცალკეული პირების მიერ საზღვარგარეთული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომლობას. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების მთავრობათა უმრავლესობა მართალია მხარს უჭერს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოდინებას, მაგრამ დასავლეთის ფირმები ფრთხილობენ კაპიტალის დაბანდებას გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მათი ვალუტების კონვერტირებადობის ნაკლოვანებათა, პოლიტიკური არასტაბილურობის და სათანადო ფინანსური სტრუქტურების უქონლობის გამო. სავალუტო რეზერვების უზრუნველსაყოფად, ინფრასტრუქტურის შესაქმნელად და ეკონომიკის სტაბილიზაციის რთული პერიოდის შესამსუბუქებლად აუცილებელია უცხოეთის ფინანსური დახმარება.

სავალუტო კურსის პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ეროვნული ვალუტის კონვერტირებადობა. ამასთან, სავალუტო კურსსა და კონვერტირებადობას შორის არსებობს როგორც პირდაპირი, ასევე უკუკავშირი. ერთი მხრივ, სავალუტო პოლიტიკა კონვერტირებადობასთან ურთიერთკავშირში ზემოქმედებს სავალუტო ბაზრის ოპერაციებში მონაწილეთა რაოდენობაზე და ამ ოპერაციების მოცულობაზე, რაც უშუალო გავლენას ახდენს სავალუტო კურსის დონესა და დინამიკაზე. მეორე მხრივ, სავალუტო კურსის რეჟიმმა შეიძლება მნიშვნელოვნად განსაზღვროს ვალუტის კონვერტირებადობასთან დაკავშირებული პოლიტიკა. კერძოდ, ფიქსირებული სავალუტო კურსის გამოყენება ცენტრალური ბანკისაგან სავალუტო ბაზარზე აქტიური პოლიტიკის გატარებას მოითხოვს. კონვერტირებადი ვალუტის რეჟიმში მომხდარი ცვლილებები ამგვარი პოლიტიკის მნიშვნელოვან და ეფექტურ ელემენტად შეიძლება იქცეს.

განასხვავებენ ლიბერალურ და მკაცრ კონვერტირებადობას. ლიბერალური სავალუტო კონვერტირებადობისას თავისუფლად შეიძლება ვალუტის გაცვლა საბაზრო კურსის მიხედვით, მკაცრი კონვერტირებადობისას კი თავისუფალი გაცვლა შესაძლებელი დადგენილი კურსის მიხედვით.

ლიბერალური კონვერტირებადობა მიეკუთვნება სავალუტო კურსის ელასტიკურ რეჟიმს, მკაცრი კი ფიქსირებული სავალუტო კურსის რეჟიმს. მთავარი განსხვავება ისაა, თუ ვინ სწევს რისკს სავალუტო კურსის ცვლილებებთან მიმართებაში: რისკის მატარებლები არიან ვალუტის მფლობელები, ხოლო მკაცრი კონვერტირებადობისას - ვალუტის ემიტენტი ქვეყანა. ცალკეულ ქვეყანას მიმდინარე ოპერაციების ანგარიშით კონვერტირებადობაზე გადასვლა აძლევს საგრძნობ უპირატესობას. ვალუტის კონვერტირებადობა ადგილობრივ მწარმოებლებს უცხოურ მწარმოებლებთან მიმართებაში კონკურენციულ გარემოში აქცევს და ამით აყალიბებს ფასების შედარებით რაციონალურ სისტემას. შესაბამისად შიდა ბაზარი უფრო კონკურენტუნარიანი ხდება: ხელმისაწვდომია საიმპორტო რესურსები და საინვესტიციო საქონელი, ამასთან მარტივდება ტექნოლოგიების საერთაშორისო გაცვლა, რაც ხელს უწყობს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას. კონვერტირებადობის უზრუნველყოფა მიმდინარე ოპერაციების ანგარიშით ქვეყანას უბიძგებს იმ საქონლისა და მომსახურების წარმოებისაკენ, რომელშიც მას შეფარდებით უპირატესობა აქვს და მთლიანობაში ხელს უწობს ეკონომიკურ სტრუქტურათა სტიმულირების გაუმჯობესებას.

აღსანიშნავია, რომ საგარეო სავაჭრო შეზღუდვებს შეუძლიათ ხელი შეუშალონ ზემოთ აღნიშნულ პროცესებს, მიმდინარე ოპერაციებზე სავალუტო შეზღუდვების მოხსნის შემთხვევაშიც. ამიტომ, სავალუტო და საგარეო სავაჭრო პოლიტიკა უნდა განვიხილოთ კომპლექსურად. რა თქმა უნდა, ვალუტის კონვერტირებადობის დაწესება არ მოითხოვს საგარეო ვაჭრობის სრულ ლიბერალიზაციას. სასურველია, თუ საბაჟო ტარიფები ერთნაირ დონეზე დაწესდება ყველა საქონლისათვის, ვიდრე რაოდენობრივი შეზღუდვები, რადგან ისინი წარმოადგენენ ეკონომიკური პოლიტიკის ღია ინსტრუმენტს და მათზე გავლენას ახდენს მსოფლიო ფასების

დონე. იმისათვის, რომ ქვეყანამ სასურველი ეფექტი მიიღოს ვალუტის კონვერტირებადობისაგან, იგი უნდა ფლობდეს:

1. სავალუტო კურსის სათანადო დონის შესატყვის საგადასახადო ბალანსს;
2. საერთაშორისო რეზერვების საკმარის მარაგს, რომელიც მისცემს საშუალებას გაუმკლავდეს ეკონომიკურ შოკებს და წმინდა სავალუტო რეზერვების სეზონურ ცვალებადობას;
3. ეფექტიან საბაზრო გარემოს, კერძოდ, სავალუტო ბაზარს;
4. ატარებდეს დასაბუთებულ მაკროეკონომიკურ პოლიტიკას (საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკას).

კონვერტირებადობა დაკავშირებულია სავალუტო კურსის რეჟიმის არჩევასთან. თუ ქვეყანა ირჩევს სავალუტო კურსის მცურავ რეჟიმს, მაშინ მისი დონე განისაზღვრება თავისუფალი ბაზრის პირობებში. ეს საჭიროებს ვალუტის კონვერტირებადობის უზრუნველყოფას მიმდინარე ოპერაციებში მაინც, რათა სავალუტო ბაზარზე ეროვნულ ვალუტას უცხოური შესაძლებლობა მიეცეს. სხვა შემთხვევაში სავალუტო კურსის დონე ასეთ ბაზარზე ვერ ასახავს მოთხოვნისა და მიწოდების რეალურ თანაფარდობას.

პირველ ეტაპზე, კონვერტირებადობაზე გადასვლამ შეიძლება ნეგატიურად იმოქმედოს უცხოური კონკურენციის გაფართოების ასპექტით. იმპორტის ზრდამ შეიძლება შეზღუდოს ადგილობრივი მწარმოებლები შიდა ბაზარზე, ასევე წარმოება და სამუშაო ადგილები.

აღსანიშნავია, რომ ვალუტის კონვერტირებადობის მიღწევა ბუნებრივად ქმნის კაპიტალის საერთაშორისო გადაინების პირობებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ფართოდ გამოიყენება სავალუტო კონტროლის ღონისძიებები. კერძოდ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ასევე, დადგენილია სავალუტო შეზღუდვა, რომელიც უკრძალავს რეზიდენტებს ჰქონდეთ ავუარები (ქონება) უცხოურ ვალუტაში.

აღნიშნული მოთხოვნა შეიძლება იქცეს საშუალებად, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევს უცხოური ვალუტის გამოყენებას საოპერაციო მიზნებისათვის კაპიტალის მოძრაობის ანგარიშში. თეორიულად, ამან ქვეყანას შეიძლება მიანიჭოს პრივილეგიები პირველ რიგში უცხოური ინვესტიციების მოდინების თვალსაზრისით და გააუმჯობესოს ტექნოლოგიების შემოტანა. კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის ოპერაციების ლიბერალიზაცია ხელს უწყობს დისკონტის განაკვეთის გათანაბრებას და აქტივების შემოსავლიანობას, ამასთან აწესებს მკაცრ მოთხოვნებს შიდა სავალუტო-საკრედიტო პოლიტიკისათვის, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის, რომლებიც საბიუჯეტო დეფიციტის მონეტარიზაციის შედეგად ინფლაციის ტემპებით გამოირჩევიან.

არსებობს ორი ფაქტორი, რომლებიც ბევრ ქვეყანაში ამცირებს, სწრაფი და შეუზღუდავი კონვერტირებადობისაკენ სწრაფვას კაპიტალის მოძრაობის ანგარიშში. პირველ რიგში კონვერტირებადობა საშუალებას იძლევა განხორციელდეს უცხოური ინვესტიციებისაგან მიღებული შემოსავლების რეპატრიაცია, რაც შესაბამისად აისახება მიმდინარე ოპერაციების ანგარიშში და უზრუნველყოფს კაპიტალის მოდინების სტიმულირებას. მეორე მხრივ, კონვერტირებადობამ კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის თვალსაზრისით შეიძლება ეკონომიკა მგრძნობი-

არე გახადოს სპეკულაციური ოპერაციების მიმართ.

სახელმწიფოს როლი - ჩარევა კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობაში გამართლებულია იმ აუცილებლობით, რომ

1. შეამციროს საგადასახდლო ბალანსის მერყეობა;
2. დაიცვას შიდა დანახოვები და შეაჩეროს სამამულო წარმოების საშუალებების ჭარბი გადასვლა უცხოელთა საკუთრებაში;
3. უზრუნველყოს კაპიტალიდან და ფინანსური გარიგებებისაგან მიღებული შემოსავლების მაქსიმიზაცია;
4. გააძლიეროს ძალისხმევა ქვეყნის ეკონომიკური სტაბილიზაციისა და რეფორმირების წარმატებით განხორციელებისათვის. ასევე მნიშვნელოვანია ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა, რადგან ის ზრდის ნდობას ხელისუფლების მიმართ და ამცირებს კაპიტალის გადინების სტიმულს.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს სავალუტო პოლიტიკას შემუშავებს და ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი. მას ეკისრება პასუხისმგებლობა:

- საქართველოს სავალუტო ბაზარზე ოპერაციების წარმოების წესების და დებულების შემუშავებისთვის;
- ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების ფლობის, შენახვისა და მართვისათვის;
- ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობის შენარჩუნებისათვის (ამ ამოცანის შესასრულებლად მას შეუძლია გამოიყენოს როგორც პირდაპირი სავალუტო ინტერვენციები, ისე არაპირდაპირი მეთოდები – სარეზერვო ნორმა, რეფინანსირების განაკვეთი და სხვ.)

პერიოდულად სავალუტო პოლიტიკა ცვლილებებს განიცდის და შეესაბამება იმ ობიექტურ მოთხოვნებს, რომელსაც თავისი განვითარების მოცემულ ეტაპზე აყენებს დღის წესრიგში ქვეყნის ეკონომიკა. დროის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სავალუტო პოლიტიკის მნიშვნელოვან პრიორიტეტად იქცა სავალუტო სფეროში ახალი ტექნოლოგიებისა და მოწინავე საბანკო გამოცდილების დანერგვა.

მაგალითად, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სებ-ის სავალუტო პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტებს წარმოადგენდა:

- სავალუტო ურთიერთობების დასარეგულირებლად ახალი იურიდიულ-ნორმატიული ბაზის შექმნა;
- საერთაშორისო სავალუტო რეზერვების, როგორც ქვეყნის დამოუკიდებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ატრიბუტის შექმნა;
- საქართველოს საბანკო სისტემის მიერ საერთაშორისო საბანკო ინსტიტუტებთან ურთიერთობების დამყარება და სავალუტო ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლების შექმნა;
- ქვეყნის შიდა სავალუტო ბაზრის ინფრასტრუქტურის შექმნა.

საფუძველი ჩაეყარა სავალუტო პოლიტიკის განხორციელების აუცილებელი ინსტრუმენტის

– ქვეყნის საერთაშორისო სავალუტო რეზერვების შექმნას. აღნიშნული დადგენლებით საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, რომლებიც ახორციელებდნენ საქონლისა და მომსახურების ექსპორტს, დაევადათ, სახელმწიფოსათვის სავალდებულო წესით მიეყიდათ საქსპორტო შემოსავლის 12%, შემდეგ ეს ვალდებულება 32%-მდე გაიზარდა (ეს წესი 1996 წელს გაუქმდა). საერთაშორისო რეზერვების შევსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო იყო საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან გამოყოფილი კრედიტები და გრანტები, აგრეთვე სავალუტო ბაზარზე უცხოური ვალუტის შესყიდვა.

მსოფლიო ფინანსურ ბაზრებს შორის სავალუტო ბაზარი თავისი მოცულობით უდიდესია. უკანასკნელ პერიოდში მსოფლიო სავალუტო ოპერაციების მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და მისი ყოველდღიური ბრუნვა მილიარდებს ითვლის. ფაქტობრივად სავალუტო ბაზარმა მიიღო გლობალური ხასიათი, ის მოქმედებს მსოფლიო მასშტაბით, მთელი დღე-ღამის განმავლობაში.

სავალუტო ბაზარი ორი მთავარი კომპონენტისაგან შედგება: საბირჟო ვაჭრობის ბაზარი და გარე საბირჟო სავალუტო ბაზარი, რომელიც ფაქტობრივად არის დილერთაშორისი (Forex-ი) და ბანკთაშორისი.

სავალუტო ბაზრის ძირითადი მონაწილეები არიან: ცენტრალური ბანკები, კომერციული ბანკები, სავალუტო ბირჟები, საინვესტიციო ფონდები, ექსპორტიორები, იმპორტიორები, საბროკერო კომპანიები, კერძო პირები.

სავალუტო სტრატეგია მრავალვარიანტულია. ზოგჯერ სავალუტო კურსის რეჟიმის არასწორი არჩევა იწვევდა მნიშვნელოვან ზარალს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს სავალუტო პოლიტიკის განსაზღვრის სიფრთხილის აუცილებლობას.

სავალუტო კურსების „ცურვის“ სტრატეგია გამოიხატება იმაში, რომ სახელმწიფო არ ერევა სავალუტო კურსის დაწესებაში და იგი განისაზღვრება თავისუფალ სავალუტო ბაზარზე. როგორც პრაქტიკამ აჩვენა, კურსების „თავისუფალი ცურვა“ მოკლევადიან პერიოდში ზოგჯერ იწვევს ზედმეტად მაღალ ინფლაციას, რომლის პირობებშიც ქვეყანა დგება არჩევანის წინაშე: ან შეასუსტოს ინფლაციის ზრდა, რაც განაპირობებს უმუშევრობის ზრდას ან გაატაროს სრული დასაქმების პოლიტიკა და შეურიგდეს ფასების ზრდას. „მცურავი სავალუტო“ კურსების დროს სახელმწიფო არ ერევა რეგულირებაში, ამიტომ თუ ბაზარზე განხორციელდება სპეკულაციური თამაშები, მაშინ სავალუტო კურსების რყევა იქნება მნიშვნელოვნად დიდი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკური კრიზისი.

„თავისუფლად ცურვის“ საპირისპიროს წარმოადგენს ფიქსირებული სავალუტო კურსები. მათი გამოყენების უპირატესობა მდგომარეობს ინფლაციის შეკავებაში და მადესტაბილუზებელი სპეკულაციის აღკვეთაში. თუ სახელმწიფო აწესებს და ინარჩუნებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ფიქსირებულ კურსს, რომელიც არ შეესაბამება რეალურად ჩამოყალიბებულს, მაშინ ეს შექმნის კრიზისულ ვითარებას ეკონომიკაში და გამოიწვევს უცხოური ვალუტის რეზერვების დიდ დანაკარგებს. პრაქტიკაში ფიქსირებული გაცვლის კურსის გავრცელებულ სახესხვაობად მიჩნეულია კურსის ე.წ. მიბმა მყარი ვალუტის მიმართ.

ვალუტების რეგულირებადი „ცურვა“ განსხვავდება „თავისუფალი ცურვისაგან“ იმით, რომ

სავალუტო კურსის დადგენის მომენტში თავისუფალ ბაზარზე მონაწილეობს ცენტრალური ბანკი, რომელიც აკავებს კურსის ცვალებადობას. ასეთ ვითარებაში სახელმწიფოსთვის აუცილებელია ვალუტის მნიშვნელოვანი რეზერვის ქონა. სხვა სახელმწიფოების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რეგულირებადი „ცურვის“ არასწორად გამოყენებას მიყვავართ რეზერვების მნიშვნელოვან დანაკარგებთან. მისი მართვა კი მოითხოვს უმაღლეს პროფესიონალიზმს და შესაბამის მომზადებას.

სავალუტო სტრატეგიის როგორი ვარიანტია ყველაზე დღესდღეობით საქართველოს სავალუტო ბაზარზე?

საქართველოში მოქმედებს მართვადი მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი, რადგანაც მცურავი გაცვლითი კურსი ხელს უწყობს გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას უფრო მეტად ვიდრე ეს ფიქსირებული კურსის პირობებში იქნებოდა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე ეროვნული ბანკის ამოცანას არ წარმოადგენს ლარის კურსის ფიქსაცია, შესაბამისად არ ხდება ბანკის ჩარევა სავალუტო ბაზრის პროცესში, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც ადგილი აქვს კურსის მკვეთრ ცვლილებას.

ამრიგად, სავალუტო პოლიტიკა ნებისმიერი ქვეყნის საფინანსო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც მოწოდებულია დაარეგულიროს სავალუტო ფასეულობებთან დაკავშირებული ეკონომიკური ურთიერთობები, ხელი შეუწყოს ეკონომიკის, განსაკუთრებით კი ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების განვითარებას, ქვეყანაში ინვესტიციებისათვის სასურველი გარემოს შექმნას, საერთაშორისო რეზერვების ზრდას, ეროვნული ფულადი ერთეულის სტაბილურობას და აქედან გამომდინარე მსოფლიო ეკონომიკაში ქვეყნის ინტეგრაციას.

პაატა კლდიაშვილი

ქუთაისის უნივერსიტეტის  
ასისტენტ პროფესორი, თსუ-ს დოქტორანტი

### აუდიტის სფეროს რეგულირების ცალკეული ასპექტები (საქართველოს კანონი და ეპროდირექტივის მოთხოვნები)

საქართველოს  
ეკონომიკის  
და  
სტატისტიკის  
აგენტობის  
გამაგრილებელი  
სამსახური

ნებისმიერ ქვეყანაში აუდიტის სფეროს რეგულირების (თვითრეგულირების) გამართული სისტემის არსებობა არის ერთ-ერთი მთავარი პირობა აუდიტორული მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისა. აუდიტის სფერო საქართველოში, სადაც იგი, როგორც დამოუკიდებელი ფინანსური კონტროლის უმნიშვნელოვანესი სახე, არსებობის ორ ათეულ წელსაც კი არ ითვლის, განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს, უპირველეს ყოვლისა ეფექტური საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის უზრუნველყოფით. სავარაუდოა, რომ მსგავსი მოსაზრებების გამო მოხდა 2012 წლის 29 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს კანონის “ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ” მიღება, რომელიც 2013 წლიდან არსებითად ცვლის ქვეყანაში აუდიტის სფეროს რეგულირების სისტემის 1995 წლის 7 თებერვალს მიღებული და 2012 წლის ბოლომდე ძალაში არსებული საქართველოს კანონით “აუდიტორული საქმიანობის შესახებ” დადგენილ პრინციპებს. დავას არ იწვევს ის ფაქტი, რომ ამ უკანასკნელი კანონით განსაზღვრული რეგულირების სისტემა იყო მოძველებული და ეფექტურად ვერ ფუნქციონირებდა განსაკუთრებით ბოლო წლებში, რის გამოც მისი ჩანაცვლება აუცილებელი იყო თანამედროვე, ქართული რეალობის შესაფერისი და ამავე დროს, საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისი რეგულირების სისტემით.

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საერთაშორისო ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს აუდიტის სფეროს რეგულირების პრინციპებს არის ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს დირექტივა 2006/43/EC – წლიური და კონსოლიდირებული ანგარიშგების სავალდებულო აუდიტის შესახებ (17.05.2006 წ., სტრასბურგი) და ვფიქრობთ, რომ აღნიშნული დირექტივის მოთხოვნებთან საქართველოში აუდიტის სფეროს რეგულირების სისტემის შესაბამისობის ხარისხი არის მნიშვნელოვანი ინდიკატორი მომავალში ამ უკანასკნელის ეფექტური ფუნქციონირებისა.

საქართველოს ახლადმიღებული კანონის ზემოთ აღნიშნული დირექტივის მოთხოვნებთან შესაბამისობის კონკრეტული ასპექტების გაანალიზებამდე, მიზანშეწონილია აღვნიშნოთ, რომ ამ უკანასკნელის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ სავალდებულო აუდიტზე, ანუ მიიჩნევა, რომ სახელმწიფო ზედამხედველობის სისტემას უნდა დაეკავშირებოდეს მხოლოდ სავალდებულო

ბულო აუდიტი, ვინაიდან სწორედ მის მიმართ არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი. საქართველოს კანონით კი რეგულირება ხორციელდება როგორც სავალდებულო, ისე საინიციატივო (ნებაყოფილობითი) აუდიტზე. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი კანონმდებლობით რეგულირების სფერო უფრო ფართოა, ვიდრე ამას ევროდირექტივა მოითხოვს, თუმცა ვფიქრობთ, რომ ამასში საგანგაშო არაფერია. მეტიც, დადებით მომენტადაც შეიძლება განვიხილოთ, ვინაიდან სისტემის სწორად ორგანიზების შემთხვევაში მან უნდა უზრუნველყოს აუდიტორული მომსახურების მაღალი ხარისხი ქვეყანაში როგორც სავალდებულო, ისე საინიციატივო აუდიტის შემთხვევაში. ამასთან, დირექტივა აყენებს მხოლოდ მინიმალურ მოთხოვნებს გაერთიანების წევრი სახელმწიფოსათვის და არ ზღუდავს უფრო მაკრო ნორმების შემოღებას.

აღნიშნული დირექტივის მე-3 მუხლის თანახმად “თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა დანიშნოს კომპეტენტური ორგანო, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სავალდებულო აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების დამტკიცებაზე<sup>1</sup>. კომპეტენტური ორგანო შეიძლება იყოს პროფესიული ასოციაცია იმ პირობით, რომ ის დაექვემდებარება მე-8 თავში განსაზღვრულ სახელმწიფო ზედამხედველობის სისტემას”. “ზუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, საქართველოში პირს აუდიტის ჩატარების უფლება ეძლევა აუდიტორთა რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ. რეესტრს აწარმოებენ აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციები და მასში რეგისტრაციისათვის როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი განცხადებით მიმართავს იმ აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციას, რომელშიც გაწევრიანებულია იგი. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნორმა, რომლის შესაბამისადაც პირის რეესტრში რეგისტრაცია ხდება აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციების მიერ, შესაბამისობაშია ზემოთ აღნიშნულ დირექტივასთან. აუცილებლად უნდა გავანალიზოთ ის, თუ აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციებზე სახელმწიფო ზედამხედველობის სისტემა საქართველოში რამდენად შეესაბამება ევრო დირექტივის მოთხოვნებს. ამასთან დაკავშირებით დირექტივაში მოცემულია შემდეგი:

1. სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს ერთი ან რამდენიმე კომპეტენტური ორგანო წინამდებარე დირექტივით განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად; ეს ორგანო იმგვარად უნდა იყოს ორგანიზებული, რომ თავიდან იქნეს აცილებული ინტერესთა კონფლიქტი (მუხლი 35);

2. სახელმწიფო ზედამხედველობის სისტემის მართვაში ჩართული უნდა იყვნენ არაპრაქტიკოსი პირები, რომელთაც იციან სავალდებულო აუდიტის სფერო. თუმცა წევრ სახელმწიფოს შეუძლია სახელმწიფო ზედამხედველობის სისტემაში ჩართოს პრაქტიკოსი აუდიტორებიც, უმცირესობის სახით. სახელმწიფო ზედამხედველობის სისტემის მართვაში დასაქმებული პირები უნდა შეირჩეს დამოუკიდებლობის მოთხოვნისა და კანდიდატურების წარდგენის (ნომინაციის) გამჭვირვალე პროცედურის შესაბამისად (მუხლი 32);

3. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა იმგვარად უნდა იქნეს ორგანიზებული, რომ ის დამოუკიდებელი იყოს შემოწმებული სავალდებულო აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების

<sup>1</sup> ვგულისხმობთ ორგანოს, რომელიც აუდიტორებს და აუდიტორულ ფირმებს მისცემთ სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლებას

ბისაგან და ექვემდებარებოდეს სახელმწიფო ზედამხედველობას (მუხლი 29).

საქართველოს კანონით (მუხლი 8, პუნქტი 6), აუდიტორებზე/აუდიტორულ ფირმებზე ზედამხედველობა ხორციელდება მხოლოდ იმ არედიტებული პროფესიული ორგანიზაციის მიერ, რომლის წევრიც არის ეს აუდიტორი/აუდიტორული ფირმა. ამასთან, ასეთი ორგანიზაციების წევრების უმრავლესობა (შესაბამისად ხელმძღვანელებიც) არიან პრაქტიკოსი ბუღალტრები და აუდიტორები; აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის შემოწმებას აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია ახდენს ხარისხის კონტროლის შემოწმების მეშვეობით. თუმცა ამ უკანასკნელთა დამოუკიდებლობის ხარისხი ვერ იქნება დამაკმაყოფილებელი, მაშინ როცა ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის დებულებას და ხარისხის კონტროლის სისტემის შემოწმებელთა სერტიფიცირების წესებს შეიმუშავებს ბუღალტრთა საერთაშორისო ფედერაციის ნამდვილი წევრი აკრედიტებული ორგანიზაცია, ხოლო ხარისხის კონტროლის სისტემის შემოწმებელთა სერტიფიცირებას ანუ დანიშვნას ახდენს თავად აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია. უნდა ავლნიშნოთ, რომ შემოწმების მიერ შემოწმების შედეგად შედგენილი დასკვნის საფუძველზე საბოლოო გადაწყვეტილებას აუდიტორის/აუდიტორული ფირმის შესახებ იღებს არა შემოწმებელი, არამედ პროფესიული ორგანიზაცია. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ავლნიშნოთ, რომ აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციები ვერ იქნებიან თავისუფალი ინტერესთა კონფლიქტისაგან ისე, როგორც ამას ვერო დირექტივა მოითხოვს.

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ აუდიტორების/აუდიტორული ფირმების საქმიანობის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი განხორციელდეს არა პროფესიული ორგანიზაციების მიერ, არამედ ამისათვის შეიქმნას დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანო საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ) სახით, დაკომპლექტდება არაპრაქტიკოსი პირებით (არა უმეტეს 10 ადამიანისა). იგი მის მიერვე დამტკიცებული დებულების შესაბამისად მოახდენს ხარისხის შემოწმებელთა სერტიფიცირებას, ხოლო სერტიფიცირებულ შემოწმებელთაგან კონკრეტული შემოწმების შერჩევა იქნება თავად აუდიტორის/აუდიტორული ფირმის პრეროგატივა, რომელიც საკუთარი სახსრებით მოახდენს ასევე შემოწმების პროცედურის ხარჯების დაფინანსებას ზემოთ აღნიშნული სსიპ-ის მიერ დადგენილი ზღვრული ნორმების ფარგლებში, ისევე როგორც ეს ხდება ალტერნატიული საგადასახადო შემოწმების შემთხვევაში. მიგვაჩნია, რომ ხარისხის კონტროლის ასეთი სისტემა მოგვცემს შემოწმების დამოუკიდებლობისა და ობიექტურობის უფრო მაღალ გარანტიას და ამავე დროს დაცული იქნება ინტერესთა კონფლიქტისაგან.

დირექტივაში მოცემულია (მუხლი 13), რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, სავალდებულო აუდიტორებს მოეთხოვებოდეთ მონაწილეობა უწყვეტი განათლების პროგრამებში, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მიმართ უნდა იქნეს გამოყენებული შესაბამისი სანქციები. იგივე მოთხოვნა აუდიტორების მიმართ ევროპის გარდა ასევე ასევე აშშ-შიც. საქართველოს კანონში ამასთან დაკავშირებით კი მოცემულია მხოლოდ ის, რომ განგრძობითი განათლების სტანდარტის შემუშავება, დადგენა და გამოყენება არის აკრედიტებული პროფესიული ორგა-

ნიზაციების ერთ-ერთი ფუნქცია (მუხლი 12), თუმცა კანონით უწყვეტი განათლების ვალდებულება აუდიტორებს ცალსახად დაკისრებული არ აქვთ. გამომდინარე იქედან, რომ უწყვეტი განათლება აუდიტორის კვალიფიკაციის შენარჩუნებისათვის დიდად მნიშვნელოვანია, მიგვაჩნია, რომ კანონში ეს ნორმა უნდა გასწორდეს და შესაბამისობაში მოვიდეს ღირეპტივის მოთხოვნებთან.

ღირეპტივის მე-15 მუხლის შესაბამისად, ყველა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ სავალდებულო აუდიტორები/აუდიტორული ფირმები შეტანილი იქნენ საჯარო რეესტრში, სადაც მათ მიენიჭებათ ინდივიდუალური ნომერი. სარეესტრაციო ინფორმაცია უნდა ინახებოდეს რეესტრში ელექტრონული ფორმით და ელექტრონულადვე უნდა იყოს ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის.

აუდიტორების/აუდიტორული ფირმების რეესტრის წარმოება გათვალისწინებულია ასევე საქართველოს კანონითაც, მაგრამ აქ რეესტრის წარმოება ხდება აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციების მიერ, ამასთან, თითოეული ორგანიზაციის რეესტრში შეტანილია მხოლოდ მისი წევრი აუდიტორები/აუდიტორული ფირმები. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კანონის შესაბამისად ცალ-ცალკე უნდა იქნეს წარმოებული სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრი და სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების არმქონე პირთა რეესტრი (რას ლოგიკურად მიგვაჩნია), დაინახავთ, რომ ქვეყანაში იარსებებს ორჯერ მეტი რეესტრი ვიდრე აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია იქნება, რაც შეიძლება აუდიტორული მომსახურების მომხმარებლებისათვის მოუხერხებელი და დამაბნეველი იყოს. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია რომ ზემოთ აღნიშნული სსიპ-ის მიერ იქნეს წარმოებული აუდიტორების/აუდიტორული ფირმების ერთიანი რეესტრი ცალ-ცალკე სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირებისა და სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების არმქონე პირებისათვის.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს მიერ გაანალიზებული იქნა ევროღირეპტივისა და საქართველოს შესაბამისი კანონის ურთიერთმიმართების რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი და ჩამოვაყალიბეთ ჩვენი ხედვები მათთან დაკავშირებით, თუმცა ვფიქრობთ, რომ ეროვნულ კანონმდებლობაში შეიძლება კიდევ არსებობდეს არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელთა ჰარმონიზაცია ევროპულ ნორმებთან დადებით გავლენას მოახდენს ჩვენს ქვეყანაში აუდიტის სფეროს განვითარებაზე.

#### ბამოყენებული სიტყვატურა:

1. საქართველოს 1995 წლის 7 თებერვლის კანონი “აუდიტორული საქმიანობის შესახებ”;
2. საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონი “ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ”;
3. ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს ღირეპტივა 2006/43/EC – წლიური და კონსოლიდირებული ანგარიშგებების სავალდებულო აუდიტის შესახებ. 17.05.2006 , სტრასბურგი, ჟურნ. “აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები”, №2 (122), 2010 წ.

ნანა ლუსუტაშვილი

ქუთაისის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

### კრიტიკული აზროვნება და აქტიური სწავლება მენეჯმენტის დაუფლების პროცესში

საზღვარგარეთის უნივერსიტეტი

ბოლო პერიოდში სულ უფრო ცხადი ხდება, რომ განათლების მხოლოდ ტრადიციული ფორმების (ლექცია, სამინარულო და პრაქტიკული მეცადინეობები) გამოყენება ვერ უზრუნველყოფს სტუდენტთა კრიტიკული აზროვნების სათანადო დონის ფორმირებას. ფსიქოლოგების მიერ დადგენილია, რომ ადამიანის მეხსიერებაში აღიბეჭდება ზეპირად გადმოცემული ინფორმაციის მხოლოდ 10%, ვიზუალურის 50%, ხოლო პრაქტიკული საქმიანობის პროცესში მიღებული ინფორმაციის-90%. ცოდნის აღქმა სასურველია ხორციელდებოდეს არა „მზამზარეული“ სახით, არამედ აქტიური შემოქმედებითი ძიებით. სტუდენტთა უმრავლესობა, რომლებსაც მიღებული აქვთ ფართო თეორიული ცოდნა, საერთოდ ვერ ახერხებენ მათ გამოყენებას პრაქტიკაში. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ლექციაზე დასწრება და სპეციალური ლიტერატურის კითხვა მცირე შედეგს აძლევს დამწყებ მენეჯერს. მენეჯერული გამოცდილება ამ გზით არ გადაიციემა. ამიტომ აუცილებელია სწავლების ისეთი ფორმების დანერგვა, რომლებიც განუვითარებენ სტუდენტებს კრიტიკულ აზროვნებას, რადგან კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნება კრიტიკულად შეაფასებს ვითარებას, აწონ-დაწონის ალტერნატიულ თვალსაზრისს და მიიღებს გონივრულ გადაწყვეტილებას. კრიტიკული აზროვნება მოიცავს გააზრების რთულ პროცესს, რომელიც იწყება ინფორმაციის აღქმით და მთავრდება გადაწყვეტილების მიღებით.

საზღვარგარეთის ნებისმიერ უნივერსიტეტში კრიტიკული აზროვნების განსავითარებლად წარმატებით იყენებენ სწავლების აქტიურ მეთოდებს. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით ბევრ უმაღლეს სასწავლებელში საქმე არც თუ ისე კარგადაა, რაც ყოველად გაუმართლებელია. საჭიროა არსებული მდგომარეობის გადასინჯვა და სწავლების ისეთი აქტიური მეთოდების გამოყენება, რომლებიც მაქსიმალურად უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესში პრაქტიკული ხასიათის ამოცანებისა და სიტუაციების გადმოტანას.

განასხვავებენ სწავლების აქტიური მეთოდების შემდეგ ნაირსახეობას:

- კონკრეტული სიტუაციების მოდელირება;
- როლების გათამაშების მეთოდი;
- საქმიანი თამაშების ჩატარება.
- კონკრეტული სიტუაციების მოდელირების გამოყენების შემთხვევაში სასწავლო პროცესის სადავეები ძირითადად პედაგოგის ხელშია. იგი ახორციელებს საზოგადოების ეკონომი-

კური ცხოვრებისა და სამეურნეო პრაქტიკისათვის დამახასიათებელი კონკრეტული სიტუაციების შერჩევას, მის თეორიულ დახასიათებას, დასაბუთებას. ამასთან იგი კითხვების დასმის საშუალებით წარმართავს დისკუსიას უშუალოდ ცალკეულ სტუდენტთან და არ არის გამორიცხული სტუდენტთა შორისაც დისკუსიის გამართვა პედაგოგის ჩარევის გარეშე. დისკუსიის პროცესში მასწავლებელი ახორციელებს ცალკეული სტუდენტის მიერ წარმოდგენილი მოსაზრების შეფასებას, კომენტარს, უარყოფითი მომენტების (შეცდომების) კორექტირებას. ეს უკანასკნელი არ გამორიცხავს ისეთ ვითარებასაც, როდესაც მასწავლებლის და სტუდენტის მოსაზრება ყოველთვის ერთმანეთს არ ემთხვევა კონცეპტუალური თვალსაზრისით. სწავლების ამ მეთოდის გამოყენების პროცესში სტუდენტს გამოუმუშავდება უნარი კონკრეტული სამეურნეო ხასიათის პრობლემების თეორიული შეფასებისათვის. დახასიათებელი მეთოდის გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერი ეკონომიკური სასწავლო დისციპლინის შესწავლის შემთხვევაში.

**როლების გათამაშების მეთოდის** გამოყენებას ახასიათებს, კონკრეტული სიტუაციის გარჩევისას, კორექტივების შეტანა უშუალოდ სასწავლო პროცესში მონაწილე სტუდენტების მიერ, მასწავლებლის აქტიურად ჩარევის გარეშე. სტუდენტებს ამ გზით გამოუმუშავდება ანალიზური აზროვნების ჩვევები. მთლიანობაში ამ მეთოდის გამოყენება გულისხმობს შემდეგ აუცილებელ პროცედურებს: მეცადინეობის დასაწყისში მასწავლებელი ახორციელებს კონკრეტული სიტუაციის წარმოდგენას (მოდელირებას), რომელიც მაქსიმალურად უახლოვდება მართვის პრაქტიკიდან აღებულ მაგალითებს. ამის შემდეგ ხდება სტუდენტების „დანიშვნა ამა თუ იმ თანამდებობაზე“ (ანუ როლების განაწილება) გამომდინარე კონკრეტული სიტუაციის მოთხოვნების შესაბამისად. სტუდენტისათვის „თანამდებობის“ შერჩევა შესაძლებელია მოხდეს მასწავლებლის შეხედულებით ან უშუალოდ სტუდენტის სურვილის საფუძველზე.

სასწავლო პროცესის მაქსიმალური აქტივიზაციისათვის განსაკუთრებით მიზანშეწონილია **საქმიანი თამაშების** მოწყობა. აღნიშნული მეთოდის გამოყენებისას ხორციელდება მრავალი რთული კონკრეტული ამოცანის (სიტუაციის) მოდელირება. „ბიზნეს სიტუაცია“ ეს არის მოვლენათა და პრობლემათა ჩამონათვალი, იმ პიროვნების წინაშე, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს გარემომცველ გარემოზე ორიენტაციით. თამაშის ჩატარების პროცესში მისი მონაწილეები გამოიმუშავენ გადაწყვეტილებებს მათ ხელთ არსებული ინფორმაციის ეტაპობრივი დამუშავების გზით. საქმიანი თამაშების ჩატარების შემთხვევაში მასწავლებლის ჩარევა უშუალოდ სასწავლო პროცესში, თამაშის შესავალი ნაწილის გარდა, პრაქტიკულად გამორიცხულია.

აღნიშნული მეთოდისათვის დამახასიათებელია ფსიქოლოგიური ფაქტორი, როდესაც ადგილი აქვს ცალკეულ თანამდებობრივ პირებს შორის წარმოებაში არსებული საქმიანი ურთიერთობების იმიტაციას. აღნიშნული გარემოება ხელს უწყობს სტუდენტის შესაძლებლობების სრულად გამოვლენას, რაც მეტად მნიშვნელოვანია მომავალში ფსიქოლოგიური ფაქტორის გადალახვისათვის საწარმოში კოლეგებთან ურთიერთობისას. საქმიანი თამაშების დროს ხდება ცალკეულ თანამდებობრივ პირებს შორის რეალურ ცხოვრებაში არსებული ურთიერთობა

მედებისას ხასიათის წინააღმდეგობების ელემენტების იმიტაცია. ასეთი ვითარება მაქსიმალურად უწყობს ხელს სტუდენტის თეორიული ცოდნისა და საქმიანი თვისებების წარმოჩენას.

საქმიანი თამაშების ჩატარება ითვალისწინებს შემდეგ აუცილებელ პროცედურებს:

**1. საქმიანი თამაშის მოსამზადებელი ეტაპი.** თამაშის წარმატებით ჩატარებას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს აღნიშნული ეტაპის შესაბამისად გათვალისწინებული პროცედურების შესრულება. მასწავლებელი განსაზღვრავს თამაშის თემას. მისი ჩატარების მიზნებს. საქმიანი თამაშისათვის საჭიროა შევარჩიოთ ისეთი კონკრეტული სიტუაცია, რომელიც ატარებს პრობლემურ ხასიათს, ხოლო მისი გადაწყვეტა მოითხოვს მნიშვნელოვანი ტექნიკურ-ეკონომიკური ღონისძიებების განხორციელებას. მოვიყვანოთ ერთი ასეთი საქმიანი თამაშის მაგალითი: საწარმო (საამქრო) ვერ უზრუნველყოფს მიღებული შეკვეთების შესრულებას.

თამაშის მიზანი: გამოვალინოთ საწარმოში (საამქროში) შექმნილი მდგომარეობის მიზეზები და განვსაზღვროთ პრობლემის გადაჭრის გზები. ამ ეტაპზე მასწავლებელი შეიძლება კიდევ უფრო დაწვრილებით შეეხოს პრობლემის ცალკეულ ასპექტებს, მიუთითოს თამაშის წარმართვის შესაძლო მიმართულებები (სცენარი).

ამის შემდეგ უნდა ჩამოყალიბდეს ჯგუფი, განისაზღვროს მის შემადგენლობაში გაერთიანებული სტუდენტების თანამდებობათა განაწილება. ცალკეული სტუდენტი ეცნობა მისი თანამდებობისათვის განსაზღვრული უფლება-მოვალეობების ხასიათს, განსაკუთრებული ყურადღება მასწავლებელმა უნდა მიაქციოს ჯგუფის ლიდერის (მაგალითად, საწარმოს დირექტორი ან საამქროს უფროსი) შერჩევას.

**2. უშუალოდ თამაშის პროცესი.** “ლიდერი”, მასწავლებლის რეკომენდაციით, არჩევს წარმართვის მისაღებ ფორმას და ცდილობს გადაჭრას საწარმოში (საამქროში) წამოჭრილი პრობლემა. მაგალითად, ჩვენს მიერ დასახელებული საქმიანი თამაშის ჩატარების პროცესში, მას შეუძლია მდგომარეობის გარკვევისათვის “მოიწვიოს” საწარმოო თათბირი და მოისმინოს შესაბამისი ეკონომიკური, ტექნიკური, კომერციული სამსახურების წარმომადგენლების მოსაზრება, შეაჯამოს გამომსვლელების აზრი, სხვებთან ერთად დასახოს ერთობლივი ღონისძიებების გეგმა. მასწავლებლის ჩარევა გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სტუდენტის მიერ დაშვებული შეცდომა, დროულად არ იქნება გამოვლენილი ჯგუფის წევრების მიერ.

**3. თამაშის შედეგების შეჯამება.** თამაშის მიმდინარეობა საბოლოოდ უნდა შეაფასოს მასწავლებელმა, იმის მიხედვით, თუ როგორ გაართვა თავი “ლიდერმა” დაკისრებულ მოვალეობას და უზრუნველყო პრობლემის ყველა ასპექტის განხილვა, ჯგუფის წევრების სრული დატვირთვა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორ არის მიღწეული საბოლოო შედეგი-დასახულია თუ არა ყველა ღონისძიება. მდგომარეობის გამოსწორებისათვის შესაძლებელია თამაშის შედეგების წარმოდგენა წერილობითი ფორმით ჯგუფის ცალკეული მონაწილის მიერ. ამასთანავე, მასწავლებელი ახორციელებს თამაშის საბოლოო შედეგების კორექტირებას დაშვებული უზუსტობის გათვალისწინებით.

საქმიანი თამაშების წარმატებით გამოყენება შესაძლებელია ე.წ. დამაგვირგვინებელი დისციპლინების შესწავლისას, რომელთა წარმატებით აღქმისათვის აუცილებელია რამდენიმე

სასწავლო საგნის დაუფლება. ასეთებად შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი სპეციალობისათვის წამყვანი საგნები - ფინანსები, მიკროეკონომიკა, მეწარმეობა, პროექტების მართვა და ა.შ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ კუთხით მენეჯმენტის საფუძვლები, რომელიც ითვალისწინებს ისეთი საგნების წარმატებით დაუფლებას, როგორცაა: მიკროეკონომიკა, სამეურნეო საქმიანობის ანალიზი, ბუღალტრული აღრიცხვა, შრომის ეკონომიკა, მმართველობითი ფსიქოლოგია, მართვის ეთიკა, საქმიანი ქაღალდები, მარკეტინგი და ა.შ. ასეთ პირობებში სტუდენტებს წარმატებით შეუძლიათ თავი გაართვან შემდეგ საქმიან თამაშებს: საწარმოს განვითარების სტრატეგია და ტაქტიკა თანამედროვე პირობებში; საწარმოს მარკეტინგული საქმიანობის სტრატეგიული ხაზის შემუშავება; საწარმოს (საამქროს) სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების შესაძლებლობათა განსაზღვრა; საქმიანი მოლაპარაკებების წარმოების თავისებურებანი; კონფლიქტური სიტუაციების მოგვარება და ა.შ.

უმაღლეს სასწავლებლებში საქმიანი თამაშების ჩატარებისას სასურველია განიხილებოდეს უპირატესად საამქროს დონე, ვინაიდან ეს უფრო მისაწვდომია აუდიტორიისათვის.

საქმიანი თამაშების ჩატარებასთან დაკავშირებით აუცილებელია აღინიშნოს კიდევ ერთი გარემოება. საქმიანი თამაშის ჩატარება გულისხმობს საკმაოდ მაღალ აკადემიურ მოსწრებას და მაქსიმალურ დასწრებას მეცადინეობაზე.

საბოლოო ჯამში, სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენება უზრუნველყოფს სტუდენტების მმართველობითი კულტურის დონის ამაღლებას.

ემზარ ჯულაყიძე

ეკონომიკის დოქტორი, აკ. წერეთლის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

## ორგანიზაციის მიზანი, ბარემოსადმი ადაპტირებული სტრატეგია და სათანადო მართვის სტრუქტურა

საქართველოს ეკონომიკის  
და მდგრადი განვითარების  
წარმომადგენელთა  
საქართველოს  
საერთაშორისო  
საბანკო

ორგანიზაციის მიზანი - კონკრეტული საბოლოო მდგომარეობა ან სასურველი შედეგია, რომლისკენაც მიისწრაფვიან ერთად მომუშავე ადამიანები. ბუნებრივია, მიზანი იქმნება გენერალური მენეჯერის მიერ. თუმცა, შემდგომ მას სრულად უნდა იცნობდეს ორგანიზაციის ყველა წევრი, რათა ისინი საერთო საქმის თანამონაწილეებად იქცნენ.

მენეჯერული საქმიანობის შემოქმედებით ხასიათს პირველ რიგში მიეკუთვნება ის, რომ იგი ირჩევს როგორც წარმოების მიზანს, ასევე მისი შესრულების საშუალებას - სტრატეგიას. მკაცრი კონკურენციის პირობებში კიდევ უფრო ძლიერდება ხელმძღვანელის როლი ორგანიზაციის მიზნების ჩამოყალიბებისა და მისი მიღწევის საქმეში. ანუ, თანამედროვე პირობებში, მენეჯერის საქმიანობა არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ საგეგმო დავალებების შესრულებით. მისი ფუნქცია ბევრად უფრო მეტია. მათ შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა - განაწილოს ორგანიზაციის პერსონალი როგორც მიმდინარე, ასევე სტრატეგიული ამოცანების შესასრულებელად. პრაქტიკა მოწმობს, რომ იმ სამეურნეო ხელმძღვანელებმა, რომლებმაც მიაღწიეს სასურველ შედეგებს, პირველ რიგში, განპირობებული იყო მკვეთრად განსაზღვრული სტრატეგიით. ფაქტობრივად, ყველა მათგანს გააჩნია თავისი “სახე” თანამედროვე პრაქტიკულ მენეჯმენტში.

ორგანიზაციის მიზნის სწორ ჩამოყალიბებას ბიზნესის სწორი ხედვის უნარი სჭირდება. არადა, ბიზნესის ხედვის უნარი - ეს ნიჭია და ყველას არ გააჩნია, ისევე, როგორც ლიდერული თვისებები. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ბატონ ნ. მარკოზაშვილს: „ახალი ხედვის უნარი ადამიანს ან აქვს, ან არა. ამ უნარის გარეგან შემოტანა, ვთქვათ, სპეციალურად შედგენილი სასწავლო კურსის მეშვეობით, პრაქტიკულად შეუძლებელია... არსებობს გარკვეული ანალოგია ახალი ხედვის და ლიდერის თვისებებს შორის. ადამიანს ან აქვს ლიდერის თვისებები, ან - არა. ძნელია ასწავლო ლიდერობა იმას, ვინც ლიდერად არ დაბადებულა“ [2, გვ. 41].

შესაბამისად, თანამედროვე ორგანიზაცია, ამ ცვალებად სამყაროში, ვერ იქნება წარმატებული, თუკი მათ არ ეყოლება ისეთი მენეჯერი, რომელიც ერთდროულად შეძლებს ლიდერობისა და ეფექტური მენეჯმენტის უზრუნველყოფას. ზოგადად, ლიდერობა განიმარტება, როგორც “სწორი რაღაცების კეთება”, ხოლო მენეჯმენტი “რაღაცების სწორად კეთება”. თანამედროვე ორგანიზაციებს კი სჭირდებათ „სწორი რაღაცების სწორად კეთება“. დღეს, ეფექტური მენეჯმენტი და

ლიდერობა განუყოფელია ერთმანეთისგან. მენეჯერისათვის, ლიდერული თვისებებიდან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არის მისი უნარი, ისე მართოს ადამიანები, რომ თითოეულმა გააკეთოს ის, რაც საჭიროა და როგორც საჭიროა ისე, რომ ეს მას თვითონ სურდეს.

ცნობილია, რომ მიზანი განსაზღვრავს მართვის პროცესის შინაარსს. შესაბამისად, დღეს მენეჯერთა ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს ორგანიზაციის ისეთი სტრატეგიის შემუშავება, რომელიც სრულად უპასუხებს თანამედროვე გამოწვევებს. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გამოცდილება ნათლად გვიჩვენებს, რომ ამ ქვეყნებში მცირე თუ მსხვილი კომპანიის გაკოტრების ძირითადი მიზეზი მეტ-ნაკლებად მაინც მისი არასწორი სტრატეგია იყო.

ორგანიზაციის თანამედროვე სტრატეგია განიხილება როგორც მისი გრძელვადიანი განვითარების ძირითადი მიმართულება, რომელიც მოიცავს მისი საქმიანობის სფეროს, მიზნის მიღწევის გზებსა და საშუალებებს, ორგანიზაციის შიგა ურთიერთობებსა და მის პოზიციას გარე სამყაროსადმი. ამდენად, სტრატეგია ეს არის ლოგიკური თანმიმდევრობით დალაგებული გარკვეული ნაბიჯების ერთობლიობა წარმატებული ბიზნესის საწარმოებად, რომელიც ორგანიზაციამ მომავალში უნდა განახორციელოს. მაგრამ ცვალებად და რიგ შემთხვევებში არასაკმარისად პროგნოზირებად გარემოში რთულდება გრძელვადიანი დაგეგმვის პროცესი. შესაბამისად, საჭიროა არსებული სტრატეგიის სისტემატური განახლება. მხოლოდ ერთ ღოგმატურ სტრატეგიაზე დაყრდნობა ვერ გამოიღებს სასურველ შედეგს. თანამედროვე მენეჯმენტი ვალდებული ხდება იმუშაოს იმაზე, რომ შეანაცვლოს უკვე შექმნილი სტრატეგია ევოლუციური სტრატეგიებით. ამისათვის კი, მენეჯერს უნდა გააჩნდეს იმის უნარი, რომ დაინახოს საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენები და მის სამოქმედო ინდუსტრიაში განხორციელებული სათანადო ცვლილებები, რომ მის საფუძველზე შეძლოს სწორად დაგეგმოს ბიზნესი. ანუ, შეიმუშაოს მოქნილი სტრატეგია. ამ თვალთახედვით, სტრატეგია ნაწილობრივ ითვალისწინებს მუდმივად ცვლად გარემო ფაქტორებს, ნაწილობრივ კი - მენეჯერთა ძალისხმევის ახალ შესაძლებლობებს, თუ როგორ გავხადოთ სტრატეგია უფრო სრულყოფილი და ქმედითუნარიანი. აქაც შეიძლება გავაკეთოთ სათანადო დასკვნა, რომ ბიზნესში წარმატების მიღწევის შემდეგი პირობა ცვლად გარემოსადმი ადაპტირებულ სტრატეგიაშია.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, გარემოსადმი ადაპტირებული სტრატეგიის სათანადო აღსრულება. სტრატეგიის დანერგვის პროცესი გულისხმობს მენეჯერულ ხედვას, თუ რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ სტრატეგიამ რეალურად იფუნქციონეროს, ანუ მოხდეს დაგეგმილის პრაქტიკული რეალიზაცია. იგი მოიცავს ისეთი მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნას, რომელიც შეძლებს წარმატებით აღასრულოს ადაპტირებული სტრატეგია. ეს პრობლემა დამოკიდებულია არა მხოლოდ გენერალურ მენეჯერზე და არა მარტო ცალკეული სტრუქტურული ქვედანაყოფების მენეჯერების კვალიფიკაციაზე, არამედ მთლიანად ორგანიზაციის ქცევაზე, პერსონალის მოტივაციაზე მიიღოს სასურველი შედეგი. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც მთელი პერსონალი დაინტერესებულია ფირმის მიზნების მიღწევაში. შესაბამისად, წარმატების მიღწევის შემდეგი პირობა, მენეჯერისა და დაქვემდებარებული პერსონალის შეთანხმებულ მუშაობას გულისხმობს. ისინი ერთ გუნდს უნდა ქმნიდნენ და მოტივირებულები უნდა იყვნენ მმართველობითი გადაწყვეტილებების გათვლილ ვადაში შესრულების უზრუნველსაყოფად.

ორგანიზაციის საკვანძო ელემენტად ითვლება მისი სტრუქტურა, ანუ ის კავშირები, რომელიც ორგანიზაციის ელემენტებსა და მის კონსტრუქციას შორის არსებობს და რომლის საფუძველზეც ხდება მისი მართვა. აღნიშნულ პრობლემაზე ყურადღებას ამახვილებს მენეჯმენტის დარგში თანამედროვეობის უდიდესი თეორეტიკოსი პიტერ დრაკერი – მართვის საკითხებზე მრავალი სახელმძღვანელოს ავტორი, რომელიც აღნიშნავს, რომ „რამდენადაც მისია განსაზღვრავს სტრატეგიას, იმდენად სტრატეგია განსაზღვრავს ორგანიზაციულ სტრუქტურას“ [4, გვ. 5].

მენეჯმენტის მეცნიერება ცნობს სხვადასხვა სახის ორგანიზაციულ სტრუქტურებს. თუმცა ყველა სტრუქტურის საფუძველი ხაზობრივი ან ფუნქციური მიდგომების ან, მათი შერწყმის ორგანიზებაა. ორგანიზაციული სტრუქტურები შეიძლება დაიყოს მართვის დონეთა რაოდენობის მიხედვითაც. ყველა მათგანს აქვს თავისი მეტ-ნაკლები პოზიტიური და ნეგატიური მხარეები. მაგრამ თანამედროვე მენეჯმენტი მოითხოვს შეიქმნას “ბუნებრივი”, მოქმედ სტრატეგიაზე მორგებული ორგანიზაციული სტრუქტურა, თავისი ფორმალური და არაფორმალური ურთიერთობებით, რომლის პირობებშიც უპირატესობა მიენიჭება ცოდნას, გამოცდილებას, ინიციატივას და ახალი იდეების განხორციელებისკენ სწრაფვას უკეთესი საბოლოო შედეგების მისაღწევად.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეჯიბაძე ო. მართვის მომავალი. ელექტრონული ჟურნალი „საზოგადოებრივი მეცნიერებები“, [www.education.ge](http://www.education.ge)
2. მარკოზაშვილი ნ., ნდობა. ჟურნ. - „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები. მარტი, 2007 წ., №1. [www.sapientisat.ge](http://www.sapientisat.ge)
3. ცომაია აკ., სტრატეგიული მენეჯმენტი. ახალი ეკონომიკური სკოლა - საქართველო. <http://www.nes-georgia.org/publicationsa.php>
4. Питер Ф. Друкер. Задачи менеджмента в XXI веке, [http://www.koob.ru/drucker\\_peter/](http://www.koob.ru/drucker_peter/)



როგორც არაპირდაპირი ანაზღაურება, შედის პენსიები, ავადმყოფობის ანაზღაურება, დაზღვევის დაფარვა და სამსახურებრივი ავტომანქანები. იგი მოიცავს იმ ანაზღაურების ელემენტს, რომელიც ნაღდი ფულით ანაზღაურებისას სხვადასხვა დამატების სახით ეძლევათ, აგრეთვე დაქირავებულთა უზრუნველყოფას (მაგალითად, წლიური შვებულების ხარჯებს).

**არაფინანსური წახალისება** - ამ წახალისებაში შედის ნებისმიერი წახალისება, რომელიც ფოკუსირდება მიღწევების, აღიარების, პასუხისმგებლობის, გავლენისა და პირადი განვითარების მოთხოვნებზე.

**ანაზღაურების დონე** - არის ხელფასის ნორმა სამუშაოზე, რაც განსაზღვრულია საბაზრო დონეზე დაყრდნობით, სამუშაოს სირთულეების შეფასებით, ფორმალური და არაფორმალური პროცესებით და ზოგჯერ კოლექტიური შეთანხმებებით.

სამუშაოს და ცალკეული პიროვნების **ანაზღაურების დონე** განისაზღვრება შემდეგი ფაქტორების შერწყმით, კერძოდ:

- სამუშაო ადგილის გარე ღირებულება (გარე ფარდობითობა) - სამუშაოს საბაზრო ნორმა, რომელზეც გავლენა მოახდინა გარე შრომის ბაზარზე მოქმედმა ეკონომიკურმა ფაქტორებმა; ეს ნორმები ანალიზდება (შეფასდება) საბაზრო ნორმების შესწავლის საშუალებით;

- სამუშაოს შიდა ღირებულება (შიდა თანაფარდობა) - სამუშაოს შედარებითი ღირებულება შრომის ბაზარზე, როგორც ეს შეფასებულია სამუშაოს სირთულის შეფასების ფორმალური და არაფორმალური მეთოდებით;

- პიროვნების ღირებულება - ღირებულება, რომლითაც ფასდება ადამიანი, ოფიციალური და არაოფიციალური შეფასებით ან მწარმოებლურობის მართვის პროცესებით;

- კოლექტიური ხელშეკრულება - ანაზღაურების შესახებ პროფკავშირებთან მოლაპარაკება.

ანაზღაურების დონეზე მოქმედებს შემდეგი ეკონომიკური ფაქტორები:

**მოთხოვნა-მიწოდება** - ეკონომიკური კონკურენციის კლასიკური თეორია აცხადებს, რომ ანაზღაურების დონე შრომის ბაზარზე განისაზღვრება მოთხოვნა - მიწოდების კრიტერიუმებით. „სხვა თანაბარ პირობებში“, თუ სამუშაო ძალის მიწოდება აჭარბებს მოთხოვნას, ანაზღაურების დონე ეცემა; თუ, სამუშაო ძალაზე მოთხოვნა აჭარბებს მიწოდებას, ანაზღაურება იზრდება. ანაზღაურება მაშინაა სტაბილური, როდესაც მოთხოვნა-მიწოდება თანაბარია.

კლასიკური თეორია ეფუძნება პრემბულას, რომ არსებობს „თანაბარი პირობები“ და რომ არსებობს სამუშაო ძალის „სრულყოფილი ბაზარი“. რეალურად აშკარაა, რომ არ არსებობს „თანაბარი პირობები“ და არც სრულყოფილი ბაზარი.

**ეფექტიანი ხელფასის თეორია** - ვარაუდობს, რომ ფირმები ანაზღაურებენ მეტს, ვიდრე საბაზრო ნორმაა, რადგან თვლიან, რომ ანაზღაურების მაღალი დონე გაზრდის შრომის ნაყოფიერებას და საბოლოოდ წარმოების ეკონომიკურ ეფექტიანობას. ეს თეორია ცნობილია, როგორც „მაღალი ხელფასების ეკონომიკა“.

**ადამიანური კაპიტალის თეორია** - ამტკიცებს, რომ ადამიანებში კაპიტალის დაბანდება ზრდის მათ ფასეულობას ფირმაში. ცალკეული ადამიანები ეცდებიან მოგების მიღებას მათში

ინვესტირებით და ფირმებიც აღიარებენ, რომ მათი დაქირავებულების ფასეულობა დაჯილდოებული იქნება. ადამიანური კაპიტალის თეორია ხელს უწყობს კვალიფიკაციაზე დაფუძნებული ან კომპეტენტურობასთან დაკავშირებული ანაზღაურების გამოყენებას, როგორც წახალისების მეთოდს. იგი საფუძველს უქმნის ცალკეული ადამიანის საბაზრო ღირებულების კონცეფციას, რომელიც მიგვითითებს იმაზე, რომ ადამიანებს საკუთარი ღირებულება გააჩნიათ ბაზარზე.

წახალისების სისტემა გამოხატავს იმას, თუ რას აფასებს ორგანიზაცია და რისი გადახდისთვისაა მზად. წახალისების მართვის მთლიან მიზანს წარმოადგენს ორგანიზაციის მოკლევადიანი და გრძელვადიანი ამოცანების მიღწევაში დახმარება იმით, რომ მათ ჰყავდეს კვალიფიციური, კომპეტენტური და კარგად მოტივირებული სამუშაო ძალა.

#### **დაქირავებულის თვალსაზრისით წახალისების სისტემას მოეთხოვება:**

- მოეპყრას მათ, როგორც აქციონერებს, რომელთაც აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ წახალისების პოლიტიკის შემუშავებაში, რომელიც მათზე გავლენას ახდენს;
- დააკმაყოფილოს მათი მოლოდინი, რომ სამართლიანად მოექცევიან, მიუკერძოებლები და თანმიმდევრულები იქნებიან მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან და მიღწევებთან მიმართებაში;
- იყოს გამჭვირვალე - მათ უნდა იცოდნენ, როგორია ორგანიზაციაში წახალისების სისტემა და რა გავლენას ახდენს ეს სისტემა მომუშავეზე.

**წახალისების სტრატეგიამ** უნდა განსაზღვროს ორგანიზაციის ჩანაფიქრი, თუ როგორ უნდა განვითარდეს **წახალისების პოლიტიკა** და პროცესები ბიზნესის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. წახალისების ეფექტიანი სტრატეგია:

- ეფუძნება კორპორაციის ფასეულობებსა და რწმენას;
- გამომდინარეობს ბიზნესის სტრატეგიიდან და მასში წვლილიც შეაქვს;
- წარიმართება ბიზნესის მოთხოვნებით და მიესადაგება ბიზნესის სტრატეგიას;
- აერთიანებს ორგანიზაციის და ინდივიდუალურ კომპეტენტურობას;
- შეესაბამება ორგანიზაციის შიგა და გარე გარემო პირობებს - სტრატეგიის არსი დამოკიდებული უნდა იყოს ამ გარემოებებზე;
- პერსპექტიულია და განხორციელებადი.

**წახალისების პოლიტიკა** იძლევა რეკომენდაციებს გადაწყვეტილებების მიღებასა და მოქმედებაზე. იგი ეხება ისეთ საკითხებს როგორცაა:

- კონკურენტული ანაზღაურება. „ანაზღაურების პოლიტიკა” ან „ანაზღაურების მდგომარეობა” ორგანიზაციაში მიგვითითებს იმაზე, თუ რამდენად უნდა ორგანიზაციას იყოს „ბაზრით წარმოებული”, ე.ი. ურთიერთობა, რომელიც სურს მას შეინარჩუნოს ანაზღაურების დონესა და საბაზრო ნორმებს შორის.
- შიდა სამართლიანობა - პოლიტიკა გვიჩვენებს იმ დონეს, თუ რამდენადაა შიდა სამართლიანობა უპირველესი კრიტერიუმი;
- დამოკიდებული ანაზღაურება - რამდენად მიაჩნია ფირმას, რომ ანაზღაურება განსხვავებული იქნება მწარმოებლურობის, კომპეტენტურობის და უნარის მიხედვით;

- ინდივიდუალური და ჯგუფური წახალისება - წახალისების აუცილებლობა ცალკეული ადამიანებისა და ჯგუფის მწარმოებლურობაზე კონცენტრირებით;
- წახალისების უპირატესობები - რა დონით უნდა ორგანიზაციას ყურადღება გაამახვილოს წახალისების გაზრდაზე ძირითადი მოთამაშეების მცირე ჯგუფისათვის, ან რამდენად აღიარებს წახალისების აუცილებლობას, რაც ხელს შეუწყობს ბევრი ადამიანის მდგრად სრულყოფას;
- მოქნილობა - დასაშვები მოქნილობა წახალისების სისტემაში; შეფასების დონე, რომელიც აუცილებელია პოლიტიკის გამოყენების დროს; კონტროლის დონე, რომელიც მომდინარეობს ცენტრიდან;
- გადაცემა - უფლებამოსილების ის ოდენობა, რაც გადაეცემათ კორიზონტალურ მენეჯერებს ანაზღაურების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით;
- პარტნიორობა - რამდენად მიაჩნია ორგანიზაციას, რომ წარმატება გაზიარებულია დაქირავებულებთან;
- გამჭვირვალობა - რამდენად უნდა შექდებოდეს წახალისების პოლიტიკა და პრაქტიკა.

ირაკლი პინუშკაშვილი

ეკონომიკის დოქტორი. ქუთაისის უნივერსიტეტი

მეორადი ავტომობილების ბაზრის კვლევა  
ქალაქ ქუთაისში

საქართველოს ეკონომიკის განვითარების ეროვნული სააგენტო

საქართველოში არსებული მდგომარეობა, ქვეყნისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ახალ ეტაპზე გადასვლამ ბაზრის კვლევის ახალი მეთოდების გამოყენება მოითხოვა. ამ მეთოდებით შესაძლებელია ცალკეულ დარგში მაქსიმალურად მაღალი ეფექტის მიღება, შესაბამისად აუცილებელია წინასწარი კვლევის ჩატარება, რათა გამოვლენილ იქნას ის არსებითი ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ სხვადასხვა მომხმარებლის მოთხოვნებს მოცემული მომსახურების მიმართ. ჩვენს შემთხვევაში, მეორადი ავტომანქანების ბაზრის მიმართ ქალაქ ქუთაისში.

ქუთაისში მეორადი ავტომანქანების ბაზრის უფრო ღრმა სეგმენტაციისათვის მნიშვნელოვანია შემდეგი ჯგუფების ფაქტორთა გამოყოფა: დემოგრაფიული, სოციალური და ფსიქოლოგიური. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება განსხვავებები მომხმარებელთა მოთხოვნილებებს შორის, რომლებიც განპირობებულია სქესის, ასაკისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ფაქტორთა მეორე ჯგუფშია განსხვავებები განათლების, პროფესიისა და შემოსავლების სიდიდის მიხედვით. მესამე ჯგუფს კი უნდა მიეკუთვნოს ფაქტორები, რომლებიც ხსნიან ბაზარზე მომხმარებელთა ქცევის თავისებურებებს და შექმნის მოტივაციებს. ასეთ ფაქტორებს მიეკუთვნება: ადამიანის ცხოვრების სტილი, საქონლის ყიდვის მიზანი (მაგალითად, შეიძლება მომხმარებელმა კონკრეტული ავტომანქანის მოდელი შეიძინოს განსაკუთრებული საჭიროებისათვის, ან თუნდაც სხვებისაგან განსხვავების სურვილით და ა. შ.). ასევე აღსანიშნავია მათი რეაქცია მარკეტინგის პროგრამის სხვადასხვა ელემენტებზე (ფასი, ხარისხი, გაყიდვის ადგილი, რეკლამა და ა.შ.).

ცხადია, შეუძლებელია ყველანაირი მომხმარებლის კონკრეტული მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ამიტომ, აუცილებელია გამოიყოს მომხმარებელთა ისეთი ჯგუფები, რომლებსაც ერთნაირი სოციალური ქცევა, სამომხმარებლო ჩვევა, ან სხვა განმასხვავებელი კრიტერიუმი გააჩნიათ.

ამის საფუძველზე შესაძლებელია, ყურადღების ფოკუსირება სამომხმარებლო ბაზრის ცალკეული სეგმენტისადმი. ბაზრის სეგმენტირების საფუძველია იდეა იმის შესახებ, რომ მომხმარებლები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან და შესაბამისად, ბაზარიც განიცდის დიფერენციაციას. სეგმენტირების მეშვეობით, მეორადი ავტომობილების ბაზარზე მყოფმა ფირმებმა თუ კერძო პირებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ შემდეგ პირობებზე:

- 1. მომხმარებელთა მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილება;

2. საქონლისა და მწარმოებლის კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლება, კონკურენტული უპირატესობების გაძლიერება;

3. ბაზრის აუთვისებელი სეგმენტების ათვისება და შესაბამისად, კონკურენტული ბრძოლისათვის თავის არიდება;

4. მარკეტინგული საქმიანობის მიმართვა კონკრეტული მომხმარებლის ინტერესებისადმი. ამისათვის ჩვენ მივმართეთ კვლევას, სადაც განვაზოგადეთ სხვადასხვა ფასიანი ავტომობილების ბაზარი და იგი დავეყავით სამ ტიპად:

### ცხრილი 1

#### ავტომობილების ბაზრის დიფერენცირება

ძვირადღირებული	BMW X5	MERCEDES-BENZ
საშუალოფასიანი	VOLKSWAGEN	MITSUBISHI
შედარებით იაფფასიანი	OPEL	HONDA

გამოკითხვა ჩატარდა იმერეთის რეგიონში, კერძოდ, ქ. ქუთაისში, ვინაიდან მეორადი ავტომობილების ბაზარი იმერეთის რეგიონში, მხოლოდ ქუთაისში ფუნქციონირებს. მეორადი ავტომობილების ბაზრის კვლევისას გამოკითხვის ანკეტა შეიცავდა შემდეგ საკითხებს:

- მეორადი ავტომობილების ბაზრის მიერ მომხმარებელთა დაკმაყოფილების ხარისხი;
- საყვარელი მარკისადმი ერთგულება;
- ფასებისადმი მომხმარებლის მგრძობიანობა;
- შეთავაზებული კომფორტი;
- ეკონომიურობა ექსპლუატაციისას.

იმერეთის რეგიონში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დასავლეთ საქართველოს სამმართველოს ქუთაისის განყოფილების მონაცემებზე დაყრდნობით, 2007 – 2010 წლებში შემდეგი მარკის (BMW; HONDA; MERCEDES-BENZ; MITSUBISHI; OPEL; VOLKSWAGEN) – ის 19.743 ერთეული მეორადი ავტომანქანა იქნა რეგისტრირებული, რომელთა შორის 1451 – BMW-ს მარკისაა, 894 – HONDA – ს, 4534 – MERCEDES-BENZ – ის, 1585 – MITSUBISHI – ს, 4688 – OPEL – ის ხოლო 2413 – VOLKSWAGEN – ის მარკის.

კვლევისათვის საინტერესო მომხმარებელთა ჯგუფებს ძირითადად წარმოადგენს მამაკაცები: 18 - წლიდან 65-წლამდე; ქალები: 18-დან 60 წლამდე, რადგან ცნობილია, რომ ამ ასაკობრივი ჯგუფების მოსახლეობა წარმოადგენს ავტომობილების ძირითად მომხმარებელს.

კვლევის ჩატარების პროცესში, ქუთაისის, მასშტაბით გამოკითხული იქნა 100 ადამიანი. გარკვეულ იქნა გამოკითხულთა დამოკიდებულება ზოგადად მეორად ავტომობილებზე. რის შედეგადაც ჩამოყალიბდა იმერეთის რეგიონის მომხმარებელთა შემდეგი ზოგადი სურათი. გამოკითხვით გამოვავლინეთ მომხმარებელთა ოთხი ასაკობრივი ჯგუფი, რომელთა თანაფარდობის შემდეგი სახე გააჩნია (იხ. ცხრილი №2)

ცხრილი 2

მომხმარებელთა ასაკობრივი ჯგუფები

ასაკი	გამოკითხულთა რაოდენობა
20 – 25 წლამდე	40
25 – 30 წლამდე	33
30 – 40 წლამდე	13
40 და მეტი	14

გამოკითხულთა უმეტესობას საქონლის სპეციფიკიდან გამომდინარე წარმოადგენდნენ 35 წლამდე მომხმარებლები (70%).

გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ მომხმარებლები იყოფიან სამ ჯგუფად: პირველი ჯგუფი უპირატესობას ანიჭებს ძვირადღირებულ და ჯიპის ტიპის ავტომობილებს; მეორე ჯგუფი უპირატესობას უფრო საშუალოფასიან ავტომობილებს ანიჭებს, რომელთა მომსახურების საერთო დღიური ხარჯი შედარებით დაბალია პირველ ჯგუფთან შედარებით; ხოლო მესამე ჯგუფში შემავალი მომხმარებლები უპირატესობას ანიჭებდნენ მცირეფასიან და მცირეელიტრიანი ავტომობილებს. ამას ადასტურებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დასავლეთ საქართველოს სამმართველოს ქუთაისის განყოფილების მონაცემებიც (იხ. ცხრილი №3)

ცხრილი 3

მომხმარებელთა დიფერენცირება

მოდელები	მერსედესი	ბმვ X3 და X5	ოპელი	ფოლკსვაგენი
ჯიპი	586	263	2079 უნივერსალი	43
სედანი	3699	1105	1157	1584
ჰენჩბეკი	184 კუპე	18	1336	717

ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ მომხმარებელთა ნაწილი ჯიპის ტიპის ავტომობილებს უპირატესობას ანიჭებს შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

1. უსაფრთხოება;
2. მაღალი გამავლობა;
3. კომფორტი;
4. სხვებისაგან განსხვავებულობის სურვილი.

მომხმარებელთა ნაწილი კი უპირატესობას ანიჭებს საშუალოფასიან და საშუალოტევადობის ავტომობილებს:

1. საშუალო ხელმისაწვდომი ფასი;
2. ეკონომიურობა;
3. კომფორტი.

მესამე ჯგუფი კი უპირატესობას შედარებით მცირეფასიან, მცირეელიტრიანი ავტომობილებს ანიჭებს. მათი აზრით მთავარია:

1. ეკონომიურობა;
2. შედარებით დაბალი ფასი;
3. გადაადგილების საშუალება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, პირველ ჯგუფში შემავალი მომხმარებელი მზადაა გადაიხადოს მეტი, მაგრამ მიიღოს უმაღლესი კომფორტი, მაქსიმუმამდე უნდა იყოს აყვანილი უსაფრთხოება, ამასთანავე არ გამორიცხავს ქვეყნის მაღალმთიან რეგიონებში გადაადგილების შესაძლებლობას და ამიტომაც, უპირატესობას ანიჭებს მაღალი გამავლობის კომფორტულ ავტომობილებს.

მეორე ჯგუფში შემავალი მომხმარებელისათვის მთავარია შედარებით ხელმისაწვდომი ფასი, საშუალო და შედარებით საშუალოზე მაღალი კომფორტი. ამიტომ არჩევენს აკეთებენ სოლიდურ უფრო კლასიკურ ავტომობილებზე. „მერსედესი“, „სედანი“, „კუპე“: „ბმვ 520“ – „525“, „აუდი ა4“ - „ა6“, „ფოლქსვაგენი პასატი“, „ბორა“, „ჯეტა“.

მესამე ჯგუფში შემავალი მომხმარებელი უპირატესობას ანიჭებს ეკონომიურობას, შექენისას შედარებით დაბალ ფასს. მათთვის მანქანა წარმოადგენს გადაადგილებისათვის აუცილებელ საშუალებას და ყურადღებას არ ამახვილებს მის უსაფრთხოების დაბალ ნორმებსა და კომფორტზე. ისინი შეიძენენ DAIHATSU – ს, ; CHIKVACHENTO – ს, OPEL CORSA – ს, NISAN MICRA – ს და ამგვარი ტიპის ავტომანქანებს, რომლებიც გამოირჩევიან ზეეკონომიურობით, ქალაქში მანევრირებით და როგორც ავლნიშნეთ ამგვარი ავტომანქანის შექენა ხელმისაწვდომია

ინდივიდუალური კვლევის შედეგად იმერეთის რეგიონში მეორადი ავტომობილების ბაზარზე გამოვლინდა 30 - მდე მეორადი ავტომანქანების გადმოყვანი (ავტომანქანებით მოვაჭრე). მათ მიერ სხვა ქვეყნებიდან (გერმანია, ჰოლანდია, ინგლისი, აშშ-ი, დუბაი, იაპონია) ერთ თვეში დაახლოებით 80 დან 120 ავტომანქანამდე გადმოიზიდება, თუმცა ამ ავტომანქანათა უმეტესი ნაწილი (70 – 80 %) რუსთავის ავტობაზრობაზე იყიდება, რაც განპირობებულია იმერეთის რეგიონში რეალური ავტობაზრობის არარსებობით. ის შემოღობილი ტერიტორია, რომელიც დღეს ქ. ქუთაისში, ავტოქარხნის ტერიტორიაზეა განთავსებული და ავტობაზრობად იწოდება, რეალურად ვერ უზრუნველყოფს ავტომობილების გაყიდვის კონკურენტულ გარემოს. აღნიშნულ ტერიტორიაზე გასაყიდი ავტომობილების მხოლოდ მეოთხედი თუ დაეტევა, ხოლო შემოღობილს გარეთ ავტომობილების გაყიდვას საპატრულო პოლიცია და მერიის ადმინისტრაცია რბილად რომ ვთქვათ დაჯარიმებით ემუქრება. ამიტომ ავტომოვაჭრეები იძულებულნი არიან ავტომანქანები რუსთავის ავტობაზრობაზე წაიყვანონ გასაყიდად. ამ ფაქტორს ემატება იმერეთის რეგიონში და კერძოდ ქუთაისში მოსახლეობის დაბალი მყიდველობითი უნარი, გასანბაჟებელი ავტომანქანის განბაჟების განსაზღვრული ვადა, მყიდველთა მცირე რაოდენობა და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ იმერეთის რეგიონის მომხმარებელიც ავტომანქანის შეძენას ქუთაისის ავტობაზრობის ნაცვლად რუსთავის ავტობაზრობაზე არჩევს. გამოკითვამ დაადასტურა, რომ მყიდველთა 80%-მა რომელთანაც პირადი გამოკითხვა განვახორციელე, გამოკითხვისას აღნიშნა, რომ დღეს შაბათია და უბრალოდ ბაზარს გადახედა, რათა სასურველი მარკისა და მოდელის დაახლოებითი ფასი სცოდნოდა. თუ შემთხვევით მისთვის მისაღებ ფასად კარგ ავტომანქანას მიაგნებდა, შეიძენდა, თუ არა, მეორე დღეს კვირას, მაინც რუსთავის ავტობაზრობაზე აპირებდა წასვლას სასურველი ავტომანქანის შესაძენად. მხოლოდ გამოკითხულთა 20% იძენს ავტომანქანას ქუთაისის ავტობაზრობაზე და ისიც უფრო მეტად პირადი და საერთო ნაცნობების ჩარევის საფუძველზე, რაც განპირობებულია მყიდველსა და გამყიდველს შორის ნდობის ფაქტორი (ავტომანქანის ხელშეუხებლობა ურემონტო ავტომანქანაი).

კვლევებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იმერეთის რეგიონს - ქალაქ ქუთაისს გააჩნია საკმაო პოტენციალი, რომელიც ჯერ კიდევ არა არის სრულყოფილად ათვისებული. მეორადი ავტომანქანების ბაზარი შეიძლება ჩაითვალოს საკმაოდ პერსპექტიულ დარგად, მაგრამ არის რიგი პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიან ამ დარგის განვითარებას.

ვაჟა ბურაბანიძე

ეკონომიკის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის და აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

ეკონომიკურ-ეკოლოგიური სისტემის მენეჯმენტი

საქართველოს ეკონომიკის განვითარების ეროვნული სააგენტოს უნივერსიტეტის დირექტორი

ეკონომიკის განვითარების ფაქტორები დაკავშირებული არიან ბუნების სხვადასხვა ელემენტებთან. დროთა განმავლობაში ბუნება განიცდის ეკონომიზაციას, ხოლო ეკონომიკა, თავის მხრივ ეკოლოგიზაციას. თანამედროვე პირობებში ეკონომიკის განვითარება წარმოებს ახალ ეკოლოგიურ სიტუაციაში. ამიტომ, სამეურნეო განვითარებისა და ბუნების დაცვის, მისი კვლავწარმოების პრობლემები განხილულ უნდა იქნას ურთიერთმოთხოვნათა პრინციპის დაცვის საფუძველზე. აქ საკითხი ეხება ეკონომიკურ-ეკოლოგიური ტიპის სისტემების ურთიერთკავშირს.

ეკონომიკური პროცესები დიდი ხანია რაც მენეჯმენტის ობიექტია, მაგრამ ბუნების დაცვა, მისი რესურსების გამოყენება, მხოლოდ ბოლო წლებში დაექვემდებარა მას. უნდა აღინიშნოს, რომ ბუნების გამოყენება დამოუკიდებელი მენეჯმენტის ობიექტი არ უნდა იყოს, რადგან ის ეკონომიკასთან მჭიდრო კავშირში იმყოფება. აქედან გამომდინარე, ბუნების და ეკონომიკური მენეჯმენტის პრობლემები განხილულ უნდა იქნეს ერთიანობის პრინციპის საფუძველზე. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური და სოციალური პროცესების მენეჯმენტს ახასიათებს საერთო ნიშნები. მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლება ითქვას, რომ ბუნების მენეჯმენტი არის ეკოლოგიური წონასწორობის პირობებში მისი რესურსების რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფა. ასეთი თვისებით ბუნება გამოდის, როგორც ეკონომიკის ერთ-ერთი თავისებური დარგი. ამ უკანასკნელის გათვალისწინებით ეკონომიკურ-ეკოლოგიური პროცესების ერთიანობის პრინციპის საფუძველზე, მენეჯმენტის ამოცანაა ეკონომიკის ჩქარი ტემპით განვითარება ეკოლოგიური წონასწორობის უზრუნველყოფისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების გზით.

თანამედროვე პრობლემების რთული კომპლექსური ხასიათი მოითხოვს საზოგადოებრივ, საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა ინტეგრაციის გაღრმავებას. ამ უკანასკნელმა კი წარმოშვა მოთხოვნილება კვლევისა და მენეჯმენტის თვისებრივად ახალი მეთოდების შესახებ. ასეთი მეთოდი ეფუძნება რთული სისტემის ფუნქციონირების კანონების მოთხოვნილების დრმა ცოდნას. ეკონომიკისა და ეკოლოგიის ინტეგრირების მიჯნაზე წარმოიშვა მეცნიერება ეკონოლოგია. იგი შეისწავლის თანასწორუფლებიანი ეკონომიკურ-ეკოლოგიური სისტემების სხვადასხვა დონეზე ურთიერთმოქმედებისა და განვითარების იმ კანონებს, რომლებიც ერთიან სისტემაში კანონზომიერ ხასიათს აძლევენ ამ ურთიერთმოქ-

მედებს და მის განვითარებას.

ეკონომიკისა და ბუნების ურთიერთმოქმედების პროცესის მენეჯმენტის რაციონალურმა მეთოდებმა და სისტემებმა უნდა უზრუნველყონ ბუნების ნორმალურ პირობებში შენარჩუნება და კვლავწარმოება. ამ უკანასკნელის მიღწევა შესაძლებელია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ეკონომიკური ზრდისა და ბუნების დაცვის, მისი რაციონალურად გამოყენების ჰარმონიულად შეხამების გზით. ეკონომიკისა და ბუნების ურთიერთმოქმედების პროცესის მენეჯმენტის ასეთ კომპლექსურ მიდგომას უზრუნველყოფს საზოგადოების გონივრული საქმიანობა.

ეკონომიკურ-ეკოლოგიური პროცესების ურთიერთხემოქმედების ადგილი არის წარმოების სფერო. ასეთი საწარმოო საქმიანობის სფერო შეიძლება იყოს რეგიონული და გლობალური მასშტაბის. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ურთიერთშეღწეულ ეკონომიკურ-ეკოლოგიური პროცესების შესწავლას. ასეთი პროცესები ქმნიან ეკოლოგიურ (ეკონომიკურ-ეკოლოგიურ) სისტემას. ამ უკანასკნელის მენეჯმენტის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ეკონომიკურ-ეკოლოგიური სისტემის სწორი მენეჯმენტი მოითხოვს მეცნიერულად განისაზღვროს სამართავი ობიექტი, საშუალება და მიზანი. მისი საშუალებებია: ეკონომიკური ბერკეტები, ბუნებრივი რესურსების ეკონომიკური შეფასება, ბუნების გაჭუჭყიანებისათვის ჯარიმები და ა.შ. ეკონომიკურ-ეკოლოგიურ მენეჯმენტში ეკონომიკური ბერკეტების, როგორც საშუალებების გამოყენება ითვალისწინებს ბუნების დაცვას, მისი რესურსების კვლავწარმოებას, ხოლო მიზანი კი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაა.

ბუნების დაცვის, მისი რესურსების კვლავწარმოებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ბუნების გამოყენების ეკონომიკის რეგულირებას. ბუნებრივი რესურსები - მიწა, წყალი, ტყე, ატმოსფერული ჰაერი არაა ადამიანის შრომით შექმნილი, რაც ხშირად ხდება მათი არაეკონომიური ხარჯვის მიზეზი. დღეს საკმაოდ გავრცელებულია ბუნების გამოყენებისათვის საფასურის გადახდის კონცეფცია, რომლის მიხედვითაც საწარმოებმა გადასახდელი თანხა ბუნებრივი რესურსების გამოყენებისათვის უნდა შეიტანონ წარმოების ხარჯებში.

მიწის რესურსების მენეჯმენტს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. მიწის რესურსები წარმოადგენს საზოგადოების პირველად მატერიალურ საფუძველს, რომელიც არის შრომის საგანი და სოფლის მეურნეობის წარმოების ძირითადი საშუალება.

მიწის ფონდის ყველაზე ძვირფას ნაწილს წარმოადგენენ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. უკანასკნელ ხანს, ურბანიზაციული პროცესების განვითარების, მიწების სტრუქტურის შეცვლის და ნეგატიური ეკოლოგიური პროცესების განვითარების გამო მიმდინარეობს მათი შემცირების ტენდენცია.

მრეწველობის, ინფრასტრუქტურისა და ქალაქების განვითარების გამო, მიწის ფონდის საუკეთესო ნაწილი დაიკავა საწარმოებმა, ჰიდროელექტროსადგურებმა, სატრანსპორტო კომუნიკაციებმა, საცხოვრებელმა მასივებმა და ა.შ. მიწის მდგომარეობა იცვლება აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მუდმივად მზარდი ინტენსიური დატვირთვის გამო.

მიწის ნაყოფიერების განმსაზღვრელ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მასში სხვა-

დასხვა ქიმიური ელემენტებისა (ნატრიუმი, ფოსფორი, კალიუმი, მაგნიუმი და ა.შ.) და შენაერთების არსებობა. მაგრამ არ არის საკმარისი, რომ ეს ელემენტები ნიადაგში იყო მცენარისათვის შესათვისებელ ფორმაში, არამედ აუცილებელია ისინი გარკვეულ თანაფარდობაში, პროპორციაში არსებობდნენ. მიწით სარგებლობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, საჭიროა განხორციელდეს ღონისძიებები თავისუფალი მიწების შერჩევისა და მიზნობრივი გამოყენებისათვის. ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა აქვს მიწის კადასტრის შედგენას სახელმწიფო დაწესებულებების მიერ.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ეკონომიკის ინტენსიურ განვითარებასთან ერთად მთელ რიგ პრობლემებს წარმოქმნის. იგი განაპირობებს მთელი გარემოს და მათ შორის მიწის რესურსების დაბინძურებას. დაბინძურების წყაროებია: სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, კომუნალური ნარჩენები, გამონაბოლქვი აირები და ა.შ. მიწის რესურსების მენეჯმენტი უნდა იყოს მიმართული მიწის რესურსების დაბინძურების მინიმიზებისაკენ.

მეტად მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა აქვს წყლის რესურსების დაცვას და რაციონალურ გამოყენებას. ამიტომ, ბუნებრივი რესურსების ასეთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი დღეს სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს. წყალსატევები ხშირად ჭუჭყიანდება საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით. ყოველდღიურად ვუახლოვდებით წყლის რესურსების უკმარისობის გლობალურ და მძაფრ კრიზისს. ღმერთმა ჩვენი სამყარო გასაოცარი რაოდენობის მტკნარი წყლებით დააჯილდოვა, მაგრამ ჩვენი უგუნურების გამო იგი სწრაფად ქრება. მთელი მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარეობს მდინარეების, ტბებისა და დიდი მიწისქვეშა წყალსაცავების დაშრობის პროცესი, ხოლო მტკნარი წყლის ზოგიერთი წყარო იმდენად დაბინძურებულია, რომ გამოსაყენებლად გამოუსადეგარია.

წყლის რესურსების ხარისხის მენეჯმენტის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს წყალში მავნე ნივთიერებათა შემცველობის დასაშვები ნორმების დადგენა. ასეთი ქცევა ხელს უწყობს სასმელი, სამრეწველო, რეკრეაციული, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსარწყავად გამოსაყენებელი წყლის რესურსების დაცვას და კვლავწარმოებას.

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ტყის რესურსს. ტყეს სოციალური მნიშვნელობა აქვს. იგი წარმოადგენს არამარტო ტყის დამამუშავებელი მრეწველობის სანედლეულო ბაზას, არამედ ატმოსფერული აუზისათვის უანგბადის მიმწოდებელს. ამიტომ, ტყისა და მისი პროდუქტების დაცვას, რაციონალურ გამოყენებასა და კვლავწარმოებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ტყის რესურსების მენეჯმენტის საფუძველს წარმოადგენს მათი დაყოფა დანიშნულების მიხედვით. ტყის რესურსებს დანიშნულების მიხედვით ყოფენ სამ ჯგუფად: პირველ ჯგუფს მიაკუთვნებენ: კლიმატის მარეგულირებელ და განმაჯანსაღებელი დანიშნულების ტყის რესურსებს; მეორე ჯგუფს - ტყეებს, რომლებსაც აქვს ერთდროულად როგორც დაცვის, ასევე საექსპლუატაციო დანიშნულება; მესამე ჯგუფს კი ვაკე ადგილის და მთის ტყეებს, რომელთაც აქვთ ძირითადად საექსპლუატაციო დანიშნულება. ტყის რესურსების მენეჯმენტის ძირითადი ამოცანაა ტყის სიმდიდრეთა რაციონალური გამოყენება, ტყის ფონდის დაცვა და გაფართოებული კვლავწარმოება.

ატმოსფერული ჰაერი წარმოადგენს ბუნებრივი რესურსების განსაკუთრებულ სახეს.

მრეწველობის დარგებში მიმდინარე სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა გამოიწვია ბუნებრივი რესურსების გამოყენების გაფართოების აუცილებლობა და ისეთი ნივთიერებების გამოყოფა, რომლებიც ნაკლებადაა გავრცელებული ბიოსფეროში. შედეგად მივიღეთ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ახალი ფაზა, რომლის დროსაც ჰაერის გაჯერება ხდება სინთეტიკური, ტოქსიკური და ძნელად დაშლადი ელემენტებით, მძიმე და იშვიათი ლითონების აეროზოლებით.

ატმოსფერული ჰაერის მენეჯმენტის რეალიზება წარმოებს ამკრძალავ ღონისძიებათა განხორციელებით. ეკონომიკის განვითარების პროექტში მკაფიოდ უნდა გამოიკვეთოს ატმოსფერული ჰაერის დაცვისა და გაჯანსაღების დავალებანი, რომელშიც მნიშვნელოვანი როლი ატმოსფეროში ზღვრულად დასაშვები გამონაბოლქვის (ზდგ) ნორმატივებმა უნდა შეასრულოს.

ამდენად, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში, ბუნების სისტემას არ შეუძლია საზოგადოების გონივრული ჩარევისა და დახმარების გარეშე კვლავწარმოება. ინდუსტრიის განვითარება, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია, ტყეების სამრეწველო ექსპლუატაციის გაძლიერება და სხვა ის მომენტებია, როდესაც ადამიანს არ ჰყოფნის ბუნებრივი რესურსები - შედეგად მოხმარება აჭარბებს ბუნებრივ რესურსთა კვლავწარმოებას და იქმნება კონფლიქტი ადამიანსა და ბუნებას შორის. ამიტომ, საჭიროა ვიზრუნოთ ბუნებრივი რესურსების დაცვაზე, მის რაციონალურ გამოყენებაზე, რომლის განხორციელებაში თავისი როლი უნდა შეასრულოს ეკონომიკურ-ეკოლოგიური სისტემის სრულფასოვანმა მენეჯმენტმა.

ლიტერატურა:

1. ასათიანი რ., საქართველოს ეკონომიკის ახალი ეპოქა, თბ. 2009წ.
2. ლემონჯავა პ., ბუნების გამოყენების ეკონომიკა, თბ. 2011წ.
3. მიქაძე ი., ეკოლოგია, თბ. 2006წ.
4. ჩიქავა ლ., ინოვაციური ეკონომიკა, თბ. 2005წ.
5. ჭითანავა ნ., თაკალანძე ლ., სოციალური ეკონომიკა, თბ. 2008წ.

ბოლექი შანიძე

ბიზნესის და მართვის დოქტორი  
ქუთაისის უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

საქართველოს ტურისტული ბიზნესის პოტენციალი

საქართველოს ტურისტული ბიზნესის პოტენციალი

ტურიზმი საზოგადოების ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ეს დარგი ძალიან სწრაფად ვითარდება, რის გამოც მსოფლიო ეკონომიკაში ლიდერის მდგომარეობა უჭირავს. ამასთან დიდ კონკურენციას უწევს სხვა დარგებს. იგი ხელს უწყობს როგორც ეკონომიკის განვითარებას, ასევე წარმოადგენს საზოგადოების სოციალურ კულტურული აქტივობისა და ურთიერთობების ცივილიზებულ ფორმას. ზეგავლენას ახდენს საზოგადოების სულიერ ცხოვრებაზე. დიდ როლს ასრულებს ტურიზმი სხვადასხვა კულტურის ადამიანთა ურთიერთობების გადრმავებაში. ტურიზმის განვითარება უშუალო ზემოქმედებას ახდენს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სოციალურ მდგომარეობაზე, რადგან ამ დარგის განვითარება ქმნის ბევრ სამუშაო ადგილს.

ტურიზმის განვითარების შესაძლებლობებისა და პერსპექტივების განხილვამდე უნდა გაკეთდეს იმის ანალიზი თუ რა მიმართულებით ვითარდება ეს დარგი დღევანდელ მსოფლიოში. რა პრინციპული სიახლეები იწვევს, რომელთა გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია სერიოზული წინსვლა. აუცილებლად ზუსტად უნდა განისაზღვროს ის პარამეტრები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ამ დარგის განვითარებაზე. იმისათვის, რომ ტურიზმი გახდეს ეკონომიკის მომგებიანი დარგი, მისი განვითარება მდგრად ხასიათს უნდა ატარებდეს. მდგრადი განვითარება გულისხმობს მუდმივ განვითარებას მომავალშიც.

საქართველოში ტურიზმი უნდა განვითარდეს რეგიონული ეროვნული და საერთაშორისო ტურიზმის მდგომარეობისა და ტენდენციების გათვალისწინებით. ყოველივე ამისათვის უნდა არსებობდეს შემდეგი კომპონენტები: ღირსშესანიშნაობები და თავისუფალი დროის გატარების ფორმები, სანახაობრივი ადგილები და ყოველივე რითაც შეიძლება ტურისტის გაერთოს ადგილზე ყოფნის დროს.

საქართველოში ტურიზმის განვითარება პრიორიტეტულია, რასაც სახელმწიფო მდგომარეობა უწყობს ხელს. "საქართველოს ტურიზმის და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოკლევადიანი და გრძელვადიანი განვითარების" პროექტის ფარგლებში საქართველოში ბევრი სიახლე განხორციელდა. კერძოდ, მიმდინარეობს საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის იმიჯის პოპულარიზაცია, ხელი ეწყობა ტურისტთა შემოყვანისა და შიდა ტურიზმის განვითარების პროცესს, ასევე ტურიზმის სფეროში დასაქმებულ კერძო მეწარმეებს, მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე გასვლასა და დამკვიდრებას, ტურიზმის მარკეტინგის, საერთაშორისო ბიზნესის, ინოვაციური და სტრატეგიული კუთხით კვალიფიცირებული და კრეატი-

ული კადრების გამოვლენა, ს ყოველივე ეს წარმოადგენს ტურიზმის სფეროს პრიორიტეტს.

მოწინავე ტურისტული ქვეყნების გამოცდილებით (შვეიცარია, ავსტრია, ესპანეთი, იტალია, საფრანგეთი, საბერძნეთი, და სხვა) ბუნებრივი და საკურორტო პოტენციალით ისეთ მდიდარ ქვეყანაში, როგორც საქართველოა მიზანშეწონილი და პრიორიტეტულია საკურორტო-რეკრეაციული (გამაჯანსაღებელი) ტურიზმის განვითარება. მსოფლიოში ტურისტულ სექტორში დიდი სეგმენტი გამაჯანსაღებელ ტურიზმს უჭირავს. საქართველოსთვის მნიშვნელოვანი იქნება ამ მიმართულების განვითარება, როგორც საკურორტო-ტურისტული პოტენციალიდან, ისე ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე. მიზნობრივად განხორციელებული ინვესტირების და კარგად გათვლილი მარკეტინგის მეშვეობით საქართველო ახლო მომავალში ნამდვილად შეძლებს დადგეს განვითარებული ტურისტული ქვეყნების გვერდით.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ბოლო ხანებში შეიმჩნევა ტურისტული ორგანიზაციების სიმრავლე, რაც შეიძლება აიხსნას უცხოელი ტურისტების უფრო და უფრო მზარდი ინტერესით ჩვენი ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიული ძეგლების, ფლორისა და ფაუნის მიმართ. საქართველოს შსს სასახლვრო პოლიციის მონაცემებით, 2011 წლის განმავლობაში ქვეყანაში შემოვიდა 2,820,185 უცხო ქვეყნის მოქალაქე.

საქართველოს ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნება, ამას დამატებული კულტურული ისტორიული ძეგლების სიუხვე, გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ საქართველოს შეუძლია განავითაროს ტურიზმის სხვადასხვა სახეები: ა) კულტურული ტურიზმი; ბ) სათავგადასავლო ტურიზმი; გ) აგროტურიზმი დ) ეკოტურიზმი და სხვა. საქართველოს ტერიტორიული პოტენციალი შემდეგი პარამეტრებით ხასიათდება: 102 კურორტი, 350-მდე საკურორტო ადგილი, 85 000 - მდე ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლი და ეროვნული სტილის ნაგებობა, რომელთაგან რამდენიმე შეტანილია იუნესკოს მსოფლიო საგანძურთა სიაში, მოქმედი რამდენიმე ეროვნული პარკი, 1300-ზე მეტი მინერალური წყარო, რომელთა დღეღამური დებეტი 130 მლნ. ლიტრია, სამკურნალო ტალახები, თითქმის 1000 - მდე კასტრული მღვიმე, საქართველოში მდებარეობს კუბერის სახელობის უსკრული, რომელიც უღრმესია დედამიწაზე, (ქართველმა მკვლევარებმა მას პირველად 1960 წელს მიაკვლიეს პროფ. ლევან მარუაშვილის ხელმძღვანელობით, თითქმის 150 მეტრ სიღრმემდე. აფხაზეთში განვითარებული მოვლენების გამო ქართველ მკვლევარებს მღვიმეში მუშაობის გაგრძელების საშუალება აღარ მიეცათ. 2009 წლის გაზაფხულზე დსთ-ს ქვეყნების გაერთიანებულმა სპელეოსაექსპედიციო რაზმმა მასში 2191 მეტრ სიღრმემდე ჩაადწია). აღსანიშნავია აგრეთვე კლიმატის მრავალფეროვნება, განათლებისა და კულტურის მაღალი დონე, ტრადიციული სტუმართმოყვარეობა და განთქმული ქართული სამზარეულო.

ქვეყანას, რომელსაც პრეტენზია აქვს უცხოელი ტურისტების მიღებაზე (მათ შორის საქართველოსაც) დასავლეთ ევროპისა და ამერიკის მარკეტოლოგები და ტუროპერატორები შემდეგ ძირითად მოთხოვნებს უყენებენ: 1) კომფორტული დაბინავების საშუალებები შედავათიანი ფასებით, რადგან ამჟამად მსოფლიო ტურიზმის ძირითადი შემოსავალი საშუალო ფენაზე მოდის; 2) სისუფთავე და დაცვის საშუალებები. შესაძლოა ყველაფერი უბრალო იყოს, მაგრამ იდეალურად სუფთა; 3) ქვეყნისათვის დამახასიათებელი საკვების მიღების შესაძლებლობა. აუცილებელი

არაა ევროპული სამზარეულოს მოშველიება, მაგრამ საკვები მაღალი ხარისხის უნდა იყოს. უმეტეს შემთხვევაში ტურისტებს ურჩევნიათ გასინჯონ ეროვნული კერძები; 4) ტურისტებმა უნდა ისიამოვნონ გარემოთი, სანახაობით. საჭიროა კომფორტული ტრანსპორტი და კარგი გზები, სათანადო რუკები, გზამკვლევები, რათა მათ მიიღონ აუცილებელი ინფორმაცია; 5) ტურისტებს სურთ შეისწავლონ მოცემული ქვეყნის ისტორია და კულტურა, მოინახულონ ღირსშესანიშნაობები, მოისმინონ მათი ისტორია; 6) თავისუფალი დროის გატარების საშუალება - თევზაობა, ნადირობა, მთაში გასეირნება; 7) ტურისტებს სურთ შეიძინონ სუვენირები, ხელით ნაკეთი ნივთები, ყველაფერი ეს უნდა იყოს მაღალი ხარისხის და ნაკლები დრო იხარჯებოდა მათ შეძენაზე; 8) ტურისტმა დღის ბოლოს უნდა მოუსმინოს მუსიკას, დაესწროს ფოლკლორულ კონცერტებს, სპექტაკლებს, გაეცნოს ეროვნულ კულტურას; 9) უნდა იმოგზაურონ უსაფრთხოდ; 10) სურს ღიმილი და მეგობრული შეხვედრა. შეიძლება ულამაზესი ქვეყანაც კი მოსაწყენი იყოს, თუკი იქ უხეშად მოექცევიან.

საინტერესოა რამდენად შეუძლია ჩვენს ქვეყანას და მის ცალკეულ რეგიონებს დააკმაყოფილოს აღნიშნული მოთხოვნები, რა პერსპექტივები აქვს და ტურიზმის რომელ სახეებზე იქნება ძირითადი მოთხოვნა სამომავლოდ. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის მარკეტინგული განყოფილების პროგნოზით 2010-2020 წლისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი მარკეტინგული სეგმენტები იქნება: 1. მზე და პლაჟი; 2. სპორტი; 3. თავგადასავლები; 4. ტურიზმი ბუნების წიაღში; 5. კულტურული ტურიზმი; 6. ქალაქური ტურიზმი; 7. სასოფლო ტურიზმი; 8. კრუიზები; 9. ნაკრძალები და პარკები; 10. შეხვედრები და კონფერენციები.

დღეს მთელს მსოფლიოში ტურიზმი ერთ-ერთ ყველაზე მომგებიან ბიზნესად იქცა. მსოფლიო ექსპორტში ტურიზმმა მესამე ადგილი დაიკავა ნავთობისა და ავტომობილების ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების შემდეგ.

2011 წელს საქართველოში რეკორდული რაოდენობის – 2,8 მილიონზე მეტი უცხოელი ვიზიტორი ჩამოვიდა. ტურიზმის დეპარტმენტის სტატისტიკამ აჩვენა, რომ სტუმრების 75%-ს თბილისი იზიდავს, მეორე ადგილზეა ბათუმი, შემდეგ მცხეთა და ქუთაისი. ყველაზე მეტი ტურისტი შარშან ახერბაიჯანიდან, თურქეთიდან და სომხეთიდან ჩამოვიდა.

შესაბამისად წარმატებული წელიწადი ჰქონდათ სასტუმროებსა და რესტორნებს, რომლებიც ტურიზმზეა მიბმული.

ტურიზმის დარგის განვითარება ხუთ ძირითად საფუძველს ეყრდნობა: სწორი პოლიტიკის შემუშავება; ტურისტული რესურსები; შესაბამისი განვითარებული ინფრასტრუქტურა; კვალიფიციური ადამიანური რესურსი; დარგის მასტიმულირებელი საკანონმდებლო ბაზა.

ნებისმიერი მათგანის უკმარისობა იწვევს დარგის ფუნქციონირების მოშლას, მის არასწორ განვითარებას.

ქვეყანაში ტურიზმის დარგის განვითარებისათვის უნდა შემუშავდეს ინვესტიციების განხორციელების სტრატეგია, ხოლო ტურიზმის განვითარების პოლიტიკა ჰარმონიულად უნდა შეერწყას ქვეყანაში ეკონომიკის სხვადასხვა დარგების განვითარების პროცესებს.

საქართველოს ტურისტული პოტენციალი ტურიზმის მდგრადი ეკონომიკური ზრდის იდე-

აღური საფუძველია. ამიტომ ყველა პირობის შექმნაა საჭირო იმისათვის, რომ ტურიზმის ინდუსტრია ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგი გახდეს. ტურისტული პროდუქტის სიკეთე აისახება არა მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტში შესულ თანხებში, არამედ მილიონობით დასაქმებულ ადამიანზე, რაც ძალზე მნიშვნელოვანია დღევანდელი პერიოდის ეკონომიკისთვის.


როგორც ვხედავთ, ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენს ქვეყანას უმნიშვნელოვანესი რესურსები გააჩნია ტურისტული ბიზნესის განვითარებისათვის, რაც უსათუოდ უნდა გამოვიყენოთ.

#### **ბამოყენებული ლიტერატურა:**

1. დევაძე ა. ტურიზმი (თეორია და პრაქტიკა) 2009.
2. პაპავა ვ., ჩიქავა ლ., და სხვა. საქართველოს ეკონომიკა. გამომცემლობა სიახლე. 2012.
3. <http://www.gnta.ge>
4. <http://www.economy.ge/?category=4&lang=geo&dc=84>

KUTAISI UNIVERSITY

# ECONOMICS PROFILE



ISSN 1512-3901 (Print)

ქუთაისის უნივერსიტეტი

**UDC 33** SCIENTIFIC-PRACTICAL JOURNAL  
e - 491

№ 11, 2012  
December

REVIEW: SCIENCE INFORMATION INSTITUTE (SOCIAL SCIENCES),  
RUSSIAN SCIENCES ACADEMY ([www.rim.inion.ru](http://www.rim.inion.ru))

## ABSTRACTS:

**BUSINESS, ACCOUNTING AND TAXATION**

**MANAGEMENT AND TOURISM**

**ECONOMIC POLICY**

**KAKHABER GABELASHVILI**

Doctor of Economics, Associated Professor of Kutaisi University

## **CHANGES IN ECONOMIC POLICY OF GEORGIA**

The issue considered in a given article is quite sensitive, since the acceleration of economic growth in the country and ensuring the macroeconomic balance largely depend on economic policy adopted by Government. The political regime stability, the democracy level, budgetary-taxation regulations, the volume of government expenditures, the efficiency of the monetary and currency mechanisms, the corruption in the state machinery, as well as the effectiveness of international economic relations, especially of foreign investment policy, play especially important role in this field.

There is considered in a given work what kind of guidelines should be figured out in the near future achieving the acceleration of economic growth and macroeconomic balance. As is known, the economic development vector of Georgia in recent years was managed by the political force "The National Movement", which was just only replaced by a new political coalition "Georgian Dream". The quantitative analysis of these two political forces' economic platform is in fact impossible, since there is no statistics yet on economic results of a new Government, because their activities are confined yet by very short period. Therefore, the test object at this time can be represented by only economic part of the political programs, their correlation, differences, novelties and key guidelines.

It is difficult to predict the near-term outlook; however, in consequence of the analysis and evaluation of the exiting situation, it is possible to formulate two different hypotheses. According to first hypothesis, there are possible the escalation of political opposition inside country and the negative pressure of outer exogenous factors on a new Government that should weaken the economic efforts and subsequently the decrease of the achieved economic growth. In this case, there are possible the increased social tension in the society and its negative subsequences.

**NAIRA VIRSALADZE**

Doctor of Economics, Associated Professor of Kutaisi University,  
Associate Professor of Akaki Tsereteli State University

**TSITSINO DAVITULIANI**

Doctor of Geographic, Associate Professor of Kutaisi University,  
Associated Professor of Akaki Tsereteli State University

## **THE ECONOMIC CRISIS IN THE SOUTH CAUCASUS**

After demise of the Soviet System the South Caucasus is the subject of a great interest. There are three independent States in the South Caucasus - Georgia, Azerbaijan and Armenia. The region was called the „Transcaucasia" in the former Soviet Union.

After dissolution of the Soviet empire products that are produced by domestic companies could not compete with imported goods. Trends in the economy have shown similar results in all the countries of the South Caucasus.

For the purpose of researches in article it was studied current trends of economy and its prospect development opportunities.

It was learned that the share of the major industrial and agricultural fields in Post- Soviet period decreased significantly and the share of transport and communications have raised. Fast development of a services sector which is the main sector of economy in the region of the Caucasus is obvious.

Non-uniformly the national income per capita in all countries of the South Caucasus, in 1991, composed 2800 \$ in Armenia, 3800 \$ in Georgia and 3900 \$ in Azerbaijan. The lowest point was found in 1995.

In the XXI century, the national income is increasing and today it is the level of \$ 4800 in Georgia, 4900 \$ in Armenia and 6500 \$ in Azerbaijan.

It is hoped that in the XXI century, common sense will prevail, all participants in the great game will find a common language and it promotes economic development in the South Caucasus.

**KHATUNA TODUA**

Doctor of Economics, Akaki Tsereteli State University

### **ABOUT THE COMPETITION (ANTITRUST) ECONOMIC POLICY IN GEORGIA**

The competition policy is the sphere of special interest, as the establishment of the fair business conditions in the state and prevention of the unscrupulous competition in the entrepreneurial practice are highly dependent on it.

It's extremely important to analyze the stages of competition economic policy, development of the competition relations and establishment of the antitrust (competition) legislation. It's also very important to review the role of monopolistic position and monopolistic activity at relevant commodity market in terms of limitation of the competition and application of various models of competition legislation.

We should pay the special interest to the influence of concentration of power upon the competition level. It proves the necessity of monitoring the market behavior and regulation of the „market” and natural monopolies, to provide the mechanisms of their implementation;

Some authors provide the methods of determination of the concentration rate and the specific criteria of ranging the commodity markets.

The study underlines the role and importance of competition laws in the strategy of gaining the competition advantage and competitiveness;

Due to the specificity of question area, we should pay special interest to the importance of competition policy and competition legislation in terms of establishment of the fair business conditions in the state and prevention of the unscrupulous competition in the entrepreneurial practice.

The state's role in perfection of the business environment is also in the sphere of special interest, as the positive and negative aspects of antitrust economic policy and respectively the competition laws of Georgia against the statutory norms of EU competition law.

The purpose of this study is to analyze the development of the competition relations and establishment of the antitrust (competition) legislation and the problems of its practical application in Georgia, also to highlight the positive and negative aspects of the competition economic policy.

The state's role in perfection of the business environment, as well as some aspects of regulation of monopolies and the competition policy development, also the problems of its practical application in Georgia were analyzed in the study.

**MANANA SHALAMBERIDZE**

Doctor of Technical, Associate Professor of Akaki Tsereteli State University

### **FARMS AS A SPHERE OF THE EMPLOYMENT OF LABOR RESOURCES AND THEIR DEVELOPMENT OPPORTUNITIES**

The major priority in the structural reorganization process of Georgian agricultural sector was given to the formation of peasant economies. However, there have been made a lot of mistakes. Their organization had not be considered as a goal itself, but it had to be directed toward further development of agricultural sector. The main condition for the efficient operation of farms consists in providing them with production means, industrial-technical maintenance and manufacturing and selling of products. As is shown by world

experience in this sphere that the individual peasant economies cannot be developed even if they are based on a private ownership on the land.

I assume that the scales of the farms will be considerably expanded in the future, but with consideration of those changes that on the basis of them there more effectively and intensively will be created the cooperative and mini-integrated formations, which will extend the employment sphere.

The searched materials allow to envisage the optimal parameters for of Georgia farming economies by their main types, the practical application of which for some extent will be depend on country's economic policy so on firm legislation base as well.

**ELGUJA KONJARIA**

Doctor of Economics, Kutaisi University

## **ISSUES OF THE IMPROVEMNT OF ACCOUNTING REGULATORIES**

For the current stage of Georgia's development, the gradual turning to the entire world is typical, realizing that on the one hand, it is an independent country and the component part of the global rural economy at the same time. All these define the main directions of developments in the agriculture.

Proceeding from all the above discussed, the reform of accounting-calculation system has no alternative. For the execution of this task, the complex of the measures is to be implemented, including:

- Deep analysis of the current system;
- Based on the analyzing the international and European instructions, the creation of the suitable, national standards;
- In the issues related to the reforms implementation, the consideration of experience of the courtiers with transitional economies.

The aim of the research is study of the theoretical and methodological problems related to the implementation of accounting-calculation system reformation, defining the main directions of the reform, also coming up with concrete recommendations regarding the improvement some certain point of accounting.

The system of accounting calculation is being considered in complex scope with passed period, current situation and the future development directions considering country's economical, social and juridical environment. Based on this, the main directions for the reforming of the accounting-calculation system have been prepared; all the scientific revelations done by research may be defined as follows:

- It is proved that in Georgia it is necessary not direct duplication of accounting system or international standards from the experience of one, particular country but based on the international experience and practice, creation and introduction of the national standards;
- Based on the international standards, the model of accounting's national conception has been created, it includes not only the basic principles of financial calculations, also the postulates regarding the entire accounting cycle including different issues;
